საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჯებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 7 თებერვალი, 2014 წელი.

№26 (7407)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„ყვავი ჩხიკვის მამიდაში“ ქვეყანას აქცევენ!..

ზესელია მთავარ პროკურორს მიმართავს, რომ ნაციონალთა ბიზნესაქტიურობით დაინტერესდეს

3

კვლავ „მეგრული სეპარატიზმის“ საფრთხის შესახებ

6

ვის და რატომ უგორებს კოჭს ევროკავშირი?

5

„ბოდელირებული ქრონიკის“ ანალოგია – გენერალი კიბალაძე „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

2

ყალბი მობილური ტელეფონები საქართველოსთვის?

7

თბილისი არ არის წინააღმდეგი, გაუცვალოს მოსკოვს სავაჭრო წარმომადგენლები

8

როგორ თამაშობდნენ ნაცები ომობანას...

4

სააკაშვილის გარემოცვაში რუსეთის ინტერესების გამტარებელი მერაბიშვილი იყო

დღეს სოჭში 16-დღიანი მარათონი იწყება

10



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ დღევანდელობის მაჯისცემა

„თავისუფალი საქართველო“ – ზვიად ძიძიგური ცრუობს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიიდან აცნობეს, ზვიად ძიძიგურის განცხადებით, საინიციატივო ჯგუფების მიერ არჩევნებში კანდიდატების დარეგისტრირების შესაძლებლობა უქმდება და ეს გადაწყვეტილება ოპოზიციასთან შეთანხმებით მიიღეს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

— ვაცხადებთ, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი ცრუობს, ვინაიდან მსგავსი მოთხოვნა ოპოზიციას არასოდეს დაუყენებია. მეტიც, „თავისუფალი საქართველო„ აცხადებს, რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგება საინიციატივო ჯგუფებისთვის აღნიშნული უფლების გაუქმებას. ასევე სიცრუეა ზვიად ძიძიგურის განცხადება, თითქოს არსებობს საკითხები, რაზეც ხელისუფლება და ოპოზიცია შეთანხმდნენ. რეალურად, მმართველმა გუნდმა არ გაითვალისწინა ოპოზიციის არც ერთი პრინციპული შეთავაზება, — აცხადებენ პარტიაში.

„თავისუფალი საქართველოს“ შეფასებით, „ქართული ოცნება“ რეფორმის იმიტაციას ცდილობს, სინამდვილეში კი საარჩევნო კოდექსს „საკუთარ ინტერესებს არგებს“.

„ხუდონჰესის“ საკითხზე მოსახლეობის ჩართულობა აუცილებელია

გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე მიიჩნევს, რომ „ხუდონჰესის“ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის ჩართულობა აუცილებელია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ხათუნა გოგალაძემ განუცხადა, გარემო პირობების ცვლილებებთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებისას მოსახლეობის ჩართულობის ვალდებულება ხელისუფლებას სამართლებრივადაც ეკისრება.

„ჩვენი მთავრობის მთავარი ფასეულობა გახლავთ ადამიანები და ხალხი. შესაბამისად, სწორედ ადამიანების და ხალხის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნება ჩვენი მთავრობის მიერ. აქედან გამომდინარე, ადამიანების მონაწილეობა და მათი ჩართულობა ამ მნიშვნელოვანი პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არის უმნიშვნელოვანესი. საქართველო არის ორჰუსის კონვენციის მხარე, ეს არის ადამიანების უფლებების დაცვის კონვენცია გარემოს დაცვის სფეროში. ამ კონვენციის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადამიანების, მოსახლეობის ჩართულობა იმ მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შესაძლებელია ზემოქმედება იქონიოს მათ საცხოვრებელ გარემოზე ანუ შესაბამისად, ჩვენ ეს ვალდებულებაც გაგვაჩნია. ეს იქნება „ხუდონჰესი“ თუ ნებისმიერი პროექტი, რომელიც გარემო პირობების ცვლილებებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, უნდა იყოს საჯარო განხილვის საგანი და უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოსახლეობის ჩართულობა“, — განაცხადა გოგალაძემ.

რამ გააბრაზა სახალხო დამცველი?

სახალხო დამცველი ენერგეტიკის მინისტრისგან მისი მისამართით გაკეთებულ „შეურაცხმყოფელ განცხადებაზე“ განმარტებას ითხოვს, — ამის შესახებ ომბუდსმენის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ: „3 თებერვალს სახალხო დამცველმა „ხუდონჰესის“ მშენებლობის თემაზე ხაიშისა და სვანეთის მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრის მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები „ხუდონჰესის“ მშენებლობის შემთხვევაში არსებული რისკების შესახებ და ამ პროცესში ხაიშისა და ზემო სვანეთის მოსახლეობის უფლებების დაცვა და კანონიერი ინტერესების გათვალისწინება ითხოვეს.

სახალხო დამცველი პროცესის კონსტრუქციულ ფარგლებში წარმართვის მიზნით, მხარეთა შორის დიალოგის დაწყებას საუკეთესო გამოსავლად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, უჩა ნანუაშვილი სვანეთისა და სოფელ ხაიშის წარმომადგენლებს ინვესტორთან და ენერგეტიკის სამინისტროსთან შეხვედრის ორგანიზებაში დახმარებას დაჰპირდა.

სახალხო დამცველის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინვესტორი კომპანიისა და ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების ხელმძღვანელებს დაუკავშირდა და შეხვედრის შესახებ აცნობა, რაზეც უარი მიიღო. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველისთვის გაუგებარია, რას უწოდებს სიცრუეს ენერგეტიკის მინისტრი. სახალხო დამცველი მოითხოვს, ენერგეტიკის მინისტრმა გააკეთოს განმარტება იმ შეურაცხმყოფელ განცხადებაზე, რომელიც მან სახალხო დამცველის მისამართით გააკეთა, — ნათქვამია განცხადებაში.

სახალხო დამცველის ოფისმა 4 თებერვალს გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმად, კახა კალაძემ და ინვესტორმა კომპანიამ ხაიშელებთან დიალოგზე უარი განაცხადეს. ამ განცხადებას კახა კალაძემ სიცრუე უწოდა.

გიგი უგულავამ უფლებამოსილების შეჩერების გადაწყვეტილება გაასაჩივრა

— ჩვენ შევიტანეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი, რომელიც ჩემი უფლებამოსილების უკანონო შეწყვეტას ეხება. მინდა საზოგადოებას განვუმარტო ამ სარჩელის მიზანი. ამ სარჩელის მიზანი და არც ჩემი სურვილი არ არის, რომ მერის ოფისში დავბრუნდე. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სულ რაღაც 5 თვეში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობა აირჩევს ახალ მერებსა და გამგებლებს. სარჩელის მიზანი არის ფართო და არ დაიყვანება რომელიმე კონკრეტულ პერსონალიამდე და არც ჩემამდე. ამ სარჩელით ჩვენ გინდა, დავამსხვრიოთ ის ჩამოყალიბებული სტერეოტიპი და ტენდენცია, რომელიც საქალაქო და შემდეგ სააპელაციო სასამართლომ შექმნა - ნებისმიერ მთავრობას, რომელსაც არ მოეწონება არჩეული მერი ან გამგებელი, შეეძლოს სასამართლოს გამოყენებით, ჩამოაშოროს არჩეული თანამდებობის პირი თანამდებობას. შემდეგ კი, წლების განმავლობაში, თანამდებობის პირმა ამტკიცოს უდანაშაულობა, იმის მაგივრად, რომ შეასრულოს ის დანაპირები, რაც ხალხმა გამოუცხადა არჩევნების შემდეგ, — აღნიშნა უგულავამ.

ინტერპრესი

◎ დავა

მოუწევს ტელეკომპანიას ბოდიშის მოხდა?

„მოდელირებული ქრონიკის“ ანალოგია - გენერალი კობალაძე „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

კობა კობალაძეს „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვს. საქმე ეხება გასულ კვირას „რუსთავი-2“-ის ეთერში გასულ სიუჟეტს, სადაც ე.წ. „მუხროვანის ამბოხის“ ორგანიზატორად კობა კობალაძე დასახელდა. გენერალი კობალაძე მოითხოვს, რომ „რუსთავი 2“-მა უარყოს ეთერში ფაქტები, რადგანაც სიუჟეტში გადმოცემული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. კობალაძის დაცვის მხარე ასევე მოითხოვს ფინანსურ ანაზღაურებას, ზუსტად იმდენივეს, რა შემოსავალიც აქვს ტელეკომპანიას.

როგორც კობალაძის ადვოკატი აცხადებს, „რუსთავი 2“-ის ეთერში გასული სიუჟეტის გამო, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა კობალაძის ოჯახის წევრებს.

„ამ სიუჟეტის ნახვის მერე კობას მამა შეუძლოდ გახდა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა. ასევე ფსიქოლოგიური ტრამვა მიიღეს ბავშვებმა. შაბათს „კურიერში“ გავიდა სიუჟეტი, რომლის ინფორმაციითაც, თითქოს, კობალაძე იყო ე.წ. „მუხროვანის ამბოხის“ ორგანიზატორი. ეს არის სიცრუე, რადგან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ყოველგვარი არგუმენტების გარეშე აბრალებდნენ დანაშაულს, რომელშიც ის გამართლდა. ორშაბათს მივმართავთ სასამართლოს „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ და მოვითხოვთ აღნიშნული ინფორმაციის სრულად უარყოფას“, — აცხადებს ემზარ პაქსაძე.

როგორც ადვოკატი ამბობს „რუსთავი-2“-ის ეთერით გადაცემული სიუჟეტი თავიდან ბოლომდე სიცრუეზე იყო აგებული და „მოდელირებული ქრონიკის“ ანალოგია, რომელიც გენერალ კობა კობალაძის დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული.

„სიუჟეტში ნაჩვენები იყო, თითქოს კობა კობალძე ამბოხის ერთ-ერთი მეთაურია, რის გამოც ის ციხეში იჯდა 4 წელი და შემდგომ, ახალი ხელისუფლების პირობებში, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა. სიუჟეტში გამოყენებულია ერთი კადრი, როდესაც ღვალაძე ჩვენებას იძლევა სამხედრო ფორმით, ეს კადრები არ იყო გამოყენებული სასამართლო პროცესზე, როგორც მტკიცებულება.

იგივე კადრები 4 წლის წინათ სატელევიზიო ეთერითაც კი არ ყოფილა გაშვებული. საინტერესოა, საიდან გაჩნდა აღნიშნული კადრები „რუსთავი-2-ის“ არქივში? სიუჟეტი თავიდან ბოლომდე სიცრუეზეა აგებული, რომელიც მიმართულია კობა კობალაძის წინააღმდეგ. ნათქვამი იყო, რომ კობალაძე, ოთანაძე და ა.შ. რამდენჯერმე იყვნენ სოციალური ამბოხის ორგანიზატორები. სიუჟეტი ისეა აგებული, რომ მხარეებისთვის არ მიუმართავთ და მთლიანად ძველი კადრებითაა გაკეთებული“, — განაცხადა ემზარ პაქსაძემ.

ამასთან, კობალაძე და მისი ადვოკატი ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასაც მიმართავენ, რათა ჟურნალისტის ქცევა გადამოწმდეს.

„ასევე, ვაპირებთ, მივმართოთ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, რომ ჟურნალისტებმა დაიცვან ეთიკის წესები. მომავალში ეს უნდა იყოს მაგალითი სხვა ჟურნალისტებისთვის, რომ მიზანმიმართულად არ გაუშვან ცილისმწამებლური სიუჟეტი. გამოხატვის თავისუფლებით ყველა ვსარგებლობთ, მაგრამ იქ მთავრდება გამოხატვის თავისუფლება, სადაც სხვა პიროვნების პიროვნული თავისუფლება იწყება.

სიუჟეტში იყო გამოყენებული კადრი, რომელიც წესით არ უნდა ჰქონოდა ჟურნალისტს, რადგან ის თავის დროზეც არ გავრცელებულა. ფაქტობრივად, კობალაძე სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს, როდესაც პირი სასამართლოს მიერ იქნა გამართლებული ამ ნაწილში.

ამ სიუჟეტის მომზადების დროს ტელეკომპანიამ გამოიყენა ღვალაძის ისეთი ჩვენება, რომელიც სასამართლოს მიერაც უარყოფილი იყო. ღვალაძემ სასამართლო პროცესზე მომცა ნაწერი, სადაც ეწერა - არ ვიცი, მომეცემა თუ არა კიდევ საშუალება, მაგრამ ახლა ვაცხადებ, რომ კობა კობალაძეზე ძალით მათქმევინესო“, — თქვა for.ge-სთან საუბრისას ემზარ პაქსაძემ.

ამ საკითხთან დაკავშირებით შევეხმიანეთ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობას, თუმცა, მათ კომენტარისგან თავი შეიკავეს.

თამთა ქარჩავა

◎ ვითარება

ბაზარში ვაშლი ძვირია, ქართლში კი გადანახულ მოსავალს მოყინვის საფრთხე ემუქრება

შიდა ქართლში განსაკუთრებულმა ყინვებმა დამატებითი პრობლემა შექმნა. გლეხები პროდუქციის რეალიზაციას რის ვაი-ვაგლახით ახერხებდნენ, ახლა გზა-კვალიც გაუარესდა და გადანახული ჭირნახულის მოყინვის საფრთხე გაჩნდა.

ადგილობრივ ფერმერებს ვაშლის მოსავალი სარდაფებში აქვთ შენახული, ძლიერი ყინვის გამო კი მათ ყუთების შეფუთვა დაიწყეს. ხილის მოყინვის შემთხვევაში მოწეული მოსავალი გადასაყრელი გახდება. შემოდგომიდან მოყოლებული დიდი პრობლემა იყო ის, რომ ვაშლის დიდი მოსავლის რეალიზაცია ვერ ხერხდებოდა, ახლა კი საერთოდაც ახალი საზრუნავი გაუჩნდათ.

გაზაფხულის დადგომასთან ერთად ვაშლი ისედაც ფუჭდება, გლეხები კი ვერც ადგილობრივ და ვერც რუსეთის ბაზარზე ხილს ვერ ყიდიან. რუსეთის ბაზარზე ქართული ვაშლის გატანას მხოლოდ მსხვილი ფერმერები ახერხებენ, მცირე მეწარმეები კი შიდა ბაზარზე ფასის მატებას ელოდებიან. ადგილობრივი ფერმერი დავით კიტრიაშვილი ამბობს, რომ ხილის გადამმუშავებელ ქარხნებს უხარისხო ხილის დიდი ნაწილი მიზერულ ფასად მიაქვთ, მაგრამ ეს გლეხებისთვის მაინც ერთგვარი შეღავათია.

შარშან მთელი წლის განმავლობაში რუსეთში სულ 49 ტონა ვაშლი გაიგზავნა. ეს სულ 3 სატვირთო მანქანაა. გორელები ვითარების გამოსწორებას წინასაახლწლო დღეებში ელოდნენ, მაგრამ არც მაშინ და არც ნაახალწლევს ვითარება არ შეცვლილა. ამჟამად 1 ყუთი (20-22 კილოგარმი) მაღალი ხარისხის ვაშლის ღირებულება 7-10 ლარია. უფრო ხშირად კი 5-6 ლარად იყიდება. გორის საკრებულოში კი აცხადებენ, რომ ბოლო დროს ვაშლის რეალიზაცია გააქტიურდა, დისტრიბუტორებს იგი აზერბაიჯანში, უკრაინასა და რუსეთში გააქვთ, მაგრამ გლეხებამდე ამ დისტრიბუტორებმა ჯერ ვერ მიაღწიეს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე იოსებ ხუროშვილი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ფერმერებმა ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად უნდა იმოქმედონ და პირველ რიგში, ხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში რეალიზაცია სულ უფრო გაჭირდება. მისი თქმით, სახელმწიფოსთვის ვაშლი, ყურძენთან შედარებით, სტრატეგიული კულტურა არ არის და არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, სუბსიდიის გამოყოფა არ ხდება.

აგრარული კომისიის ინფორმაციით, წელს გორში 70 ათასი ტონა ვაშლის მოსავალი მიიღეს. დაახლოებით ნახევრის რეალიზაცია, როგორც იქნა, მოხერხდა, ნახევარი ისევ მყიდველს ელის. ამასობაში კი დრო იწურება და სეზონიც მთავრდება. სპეციალისტების აზრით, თუ ვაშლი ერთ თვეში არ გასაღდა, ის გაფუჭდება. ბოლოს და ბოლოს, გაზაფხული კარზეა მომდგარი და ვაშლისადმი ინტერესი თანდათან იკლებს.

ბეჭა დანელია

◎ ნაცების ღავღავი გრძელდება

„ყვავი ჩხიკვის მამიდები“ ქვეყანას აქცევენ!..

ბესელია მთავარ პროკურორს მიმართავს, რომ ნაციონალთა ბიზნესაქტიურობით დაინტერესდეს

„ნაციონალური მოძრაობა“ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ნეპოტიზმში სდებს ბრალს და თამაზ თამაზაშვილის „მსხვილი კორუფციული სქემის“ შესახებ აპელირებს. უმცირესობის ბრალდებებს თამაზაშვილის ოჯახის წევრები „სისულელეს“ უწოდებენ, უმრავლესობა კი, მთავარ პროკურატურას მიმართავს ნაციონალთა ბიზნესაქტივობით დაინტერესდეს.

კორუფციული სქემების თაობაზე, პოლიტიკურ წრეებში ურთიერთბრალდებები მას შემდეგ გაისმა, რაც წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა პრემიერ-მინისტრის ოჯახი კორუფციულ გარიგებებში დაადანაშაულეს.

ოპოზიციონერი დეპუტატის ლევან ბეჟაშვილის ცნობით, ირაკლი ღარიბაშვილისა და თამაზ თამაზაშვილის მსხვილი კორუფციული სქემა გამოვლინდა.

კერძოდ, მისი ინფორმაციით, ნათესაური კონტროლის ქვეშ მოექცა ტენდერის გამომცხადებელი სტრუქტურა, შემსრულებელი ფირმა და შემმოწმებელი კომპანია.

კანონმდებლის განცხადებით, პრემიერის მეუღლის ნუნუკა თამაზაშვილის ბიძაშვილი იოსებ ქადაგიშვილი დანიშნულია ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ და შემდგომ სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ.

„კომპანია „სერპანტინის“ 51-პროცენტიანი წილის მფლობელია თამარ ჯანყარაშვილი, რომელიც შს მინისტრის მოადგილის გიორგი ზედელაშვილის დედა და შს გენინსპექციის უფროსის, თამაზაშვილის დისშვილის ახლო ნათესავია. ერთი წლის განმავლობაში, საგზაო მშენებლობაში გამოცხადებულ ტენდერებში აღნიშნულმა კომპანიამ ცხრაჯერ გაიმარჯვა და 15 მილიონი ლარის მოცულობის ტენდერები შეასრულა. გასულ რვა-ცხრა წელიწადში კი, ამ კომპანიის მიერ შესრულებული ტენდერების რაოდენობა ექვს მილიონ ლარს არ აღემატებოდა. ოჯახურმა კლანმა ზეწოლის შედეგად დაგებული საფარის ერთადერთი შემმოწმებელი კომპანია აიძულა ქვეკონტრაქტორად აეყვანა შპს „ვილსფორტ მენეჯმენტი“, რომლის ტექნიკური დირექტორი ელდარ ხუცაიძეა, რომლის მამაც შპს „სერპანტინის“ 35%-იანი წილის მფლობელია და ინტერესთა კონფლიქტი ამაშიც იკვეთება“, — დეტალურად „დაასკვნა“ ბეჟაშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი თვლის, რომ ამ სქემით საგამოძიებო უწყებები უნდა დაინტერესდნენ.

„იმედია, ამ საკითხით პროკურატურა დაინტერესდება. ამ სქემაში აღსანიშნავია ისიც, რომ „ვილსფორტ მენეჯმენტის“ 50-პროცენტიანი წლის მფლობელი კახა ბაინდურაშვილია (ყოფილი ნაციონალი მინისტრი. — **რედ.**), რომელიც „ტვ 3“-ის მფლობელი და ძმები ჩხენკელების ბიზნესპარტნიორია. ასევე აკაკი ჩხენკელი, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანია, რომელიც ამჟამად პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის რეგიონული სამსახურის უფროსია. ლევან ჩხენკელი კი „ტვ 3“-ის ერთ-ერთი მფლობელი“, — აცხადებს ბეჟაშვილი, რომელსაც **საგანგებოდ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეპა ბესელია გამოეხმაურა, რომელმაც, ერთის მხრივ, ირაკლი ღარიბაშვილი დაიცვა, მეორეს მხრივ კი, „ნაციონალურ მოძრაობას“ წარსული გაუხსენა და ყოფილი ჩინოვნიკების ბიზნესაქტივობაზე ისაუბრა.**

ეკა ბესელიას მტკიცებით, „სერპანტინთან“ თამაზ თამაზაშვილსა და მის ოჯახს არავითარი კავშირი არა აქვს.

ეს კომპანია 90-იანი წლებიდან არსებობს და მისი წლიური ბრუნვა რამდენიმე მილიონს აჭარბებდა.

„2007 წელს ამ კომპანიის წლიურმა ბრუნვამ დაახლოებით 5 მლნ ლარი შეადგინა, 2008 წელს, 4 მლნ ლარი, ხოლო 2009 წელს,12 მლნ ლარზე მეტი. თამაზ თამაზაშვილს და მის ოჯახს ამ კომპანიასთან არანაირი კავშირი არ აქვთ. **ეს ისეთივე ტყუილია, როგორც ის ბრალდება, როცა მას იარაღი ჩაუდეს და უკანონოდ ციხეში ამყოფეს. ამ კომპანიის ბიზნესსაქმიანობა ხელისუფლებაში რომელიმე კონკრეტული პიროვნების მოსვლას არ უკავშირდება. როცა საუბარია გიორგი ზედელაშვილზე, როგორც ამ ბიზნესის მატარებელზე, ეს სრული სიცრუეა, რადგან გიორგი ზედელაშვილის მამა ამ კომპანიის მფლობელი იყო, ხოლო მისი დედა ამ კომპანიის მფლობელი 2000 წლიდან გახდა“,** — აცხადებს ბესელია და ყურადღებას ნაციონალების ლიდერების ბიზნესსაქმიანობაზე ამახვილებს.

კანონმდებლის ცნობით, გიგა ბოკერიას, გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილის, გიორგი თევდორაძის, გივი თარგამაძისა და გიორგი ბარამიძის ოჯახის წევრების მიერ დაფუძნებულმა კომპანიებმა მილიონობით ლარის ბრუნვა აწარმოეს.

„უმცირესობის ბრალდებების საპირისპიროდ გაჩვენებთ, 2003 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თუ როგორ გახდნენ ნაციონალები მილიონრები და როგორ ხდებოდა მილიონების დასაგროვებლად ხელისუფლების გამოყენება. კერძოდ, გიგი უგულავასთან დაკავშირებულ კომპანიებს 13 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი აძვს მიღებული, მათ შორის, მისმა სიდედრმა კომპანია „მანი“ დააფუძნა. ამას გარდა, გიორგი ბარამიძესთან დაკავშირებულ კომპანიებს მიღებული აძვთ 23 მლნ ლარზე მეტი, თავად ბარამიძეს უძრავი ქონების რეალიზაციით კი, მიღებული აძვს 2 მლნ ლარამდე. ასევე ბიზნესით იყო დაკავებული გივი თარგამაძის ძმა, რომელმაც 2003 წელს, 20 ნოემბერს, კომპანია „პაულშულრუნდირუბრუპი“ დააფუძნა, რომელსაც 60 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი აძვს. საბოლოო ჯამში კი, გივი თარგამაძესთან დაკავშირებულ კომპანიებს 85 მლნ ლარამდე აძვს მიღებული. ამასთან, კომპანიები დააფუძნეს გიგა ბოკერიას მამამ და ცოლისდამ, რომელთაც დაახლოებით 45 მლნ ლარის შემოსავალი აძვთ. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, მასთან დაკავშირებული კომპანიების ნუსხა ძალიან დიდია. კერძოდ, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრთან 22 კომპანიაა დაკავშირებული და კოლოსალურ თანხებზეა საუბარი“, — აცხადებს ბესელია.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ახალ პროკურორს გიორგი ბადაშვილს მიმართავს ნაციონალების ბიზნესაქტივობით დაინტერესდეს.

„ნაციონალები ურცხვად და უტიფრად ამბობენ, რომ თამაზაშვილი გარკვეულ ინტერესებს ლობირებს, მაგრამ საინტერესოა, საპირისპირო მაგალითები, თუ როგორ გახდნენ „წარმატებული“ ბიზნესმენები და მილიონრები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ოჯახის წევრები. მთავარ პროკურორს მივმართავ, ამ მასალებით დაინტერესდეს, როგორ ხდებოდა ნაციონალების ლიდერების მილიონრებად ქცევა. პროკურატურამ ერთი მოვლენაც უნდა შეისწავლოს და მეორეც, მხოლოდ ასე გამოჩნდება სად არის ჭეშმარიტება. ძალიან მაინტერესებს, როგორ გამდიდრდნენ ნაციონალები მაშინ, როცა ბევრი კომპანია კოტრდებოდა“, — განაცხადა ბესელიამ.

აღსანიშნავია, რომ ნაციონალების ბრალდებებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გამოეხმაურა, მაგრამ საკითხზე ვრცელი საუბარი არ ისურვა თამაზ თამაზაშვილის შვილმა ლექსო თამაზაშვილმა.

ლექსო თამაზაშვილი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა და განაცხადა, რომ ნაციონალების მიერ გაჟღერებული ბრალდებები, მხოლოდ „სისულელეა“.

გზების დეპარტამენტში კი, გამოცხადებულ ტენდერებში ვინმეს მიერ ზემოქმედების შესაძლებლობას გამორიცხავენ და ამბობენ, რომ სიცრუეა, თითქოს, „სერპანტინს“ ტენდერების დიდი რაოდენობა აქვს მოგებული.

„ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიპოვოს ან გადაამოწმოს ინფორმაცია ელექტრონული ტენდერების ნუსხაში და ნახოს, რომ 2013 წელს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ შვიდ ტენდერში კომპანიამ უარყოფითი შედეგი მიიღო, ხოლო ოთხ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა“, — აცხადებენ გზების დეპარტამენტში, რომლის მსგავსად, ნაციონალების ბრალდებებს გამოეხმაურა თავად იოსებ ქადაგიშვილი.

მისი მტკიცებით, მას არანაირი ნათესაური კავშირი არ აქვს თამაზ თამაზაშვილთან და მის ოჯახთან.

— ნაცების განცხადება სიცრუე და ცილისწამებაა. თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დედაჩემი დედისერთაა და ვერავის მამიდაშვილი ვერ ვიქნები. ჩემს ადვოკატს უკვე ვესაუბრე, რომელიც სარჩელს ამზადებს და „ნაციონალური მოძრაობის“ ავანტიურას და თავგასულობას სასამართლო გამოააშკარავებს, — აცხადებს ქადაგიშვილი.

თეონა მანაგაძე.

რედაქციისგან: ასეთი არაადამიანური სისულელეებით ცდილობენ არამზადა ნაციონალები ფონს გასვლას და ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას.

არა, ყველაფრისმკადრებელი ნაციონალების ამ მზაკვრობას მხოლოდ „იუმორი“ ვერ უშველის, ბატონო ბიძინა. სიცრუეს, დამბეზღებლობას, ხალხის მოტყუებას, შორს გამიზნულ ავაზაკობას საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბრძოლის ყველა დასაშვები ფორმით და მეთოდით ნაცების პარპაში, მიშისტების მოღალატური ღავღავი უნდა დამთავრდეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა წელში ვერ გაიმართება!

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ბიძინამ, მეტი იუმორით მიუდექით ნაციონალების უტიფრობასო. მეტი რანაირი იუმორით მივუდგეთ? მეათე წელია, ჯამბაზებად ვიქეციით...დავცინით ბატონო და ალვას ვერ შემოვარტყამთ.

● ინტერნეტის გადასახადი მოვიდა. იუმორით შევხედე — ვნახოთ, თუ გაჭრა, შუქზე და გაზზეც იგივეს გავაკეთებ.... სიგარეტზე არ ჭრის. შევამოწმე — დილიდან უშედეგოდ ვიცინი სუპერმარკეტში.

● მგონი, ეს ყინვები რუსეთთან ურთიერთობების დათბობის ბრალია.

● აი, უნდა ვთქვა... არ შემიძლია არ ვთქვა, ყოველთვის ვამბობ და ახლაც ვიტყვი, რაც ყველაზე უფრო მაკვირვებს ქართული ოცნების:

რატომ გეშინიათ თქვენიანების გვერდზე დაყენების? რატომ გაქვთ შიში იმისა, რომ, თუ თანამებრძოლს გვერდზე დაიყენებ თუნდაც სამსახურში, ის ჩაგძირავთ? და ამიტომ საკაიფოდ თანამშრომლობთ ნაციონალებთან, რადგან იცით, მან იცის, რომ დამნაშავეა და უკანალზე კოცნით გაგატარებინებთ მომავალ კიდევ რამდენიმე წელს? აი, რატომ არ იყენებთ რესურსს — თქვენს თანამოაზრეებს, გაოცებას ვერ ვმალავ! ბევრი ახლა ალბათ ჩემზე გაიფიქრებს, რა გინდა, სამსახური არ გაქვს, ფული, თუ რა გაკლიაო? გეტყვით: არაფერი არ მაკლია. მინდა, რომ სიკეთემ გამარჯვება იზეიმოს, მართლა მინდა, რომ ყველა, ვინც იბრძოდა, ბედნიერი იყოს. იმ დღეს ძმაკაცმა მითხრა, შეეშვი, რა ნერვებს იგლეჯ, რას წერ და რას ყვირი, ადამიანი ვეღარ დაგელაპარაკება, ყველაფერზე იღრინები და სულ ნერვებზე ხარო? ჰო ვარ... რა ვქნა, ასე ვარ... არ ვიყავი ასე, მაგრამ ახლა ვარ.

● ამ ყინვაში ეპილაცია არ გამიგია, იქნებოდა ცოტა თბილად, ან ბიუჯეტს რას ერჩოდა, ან ბიკინს?

● მუხროვანის სპექტაკლზე საპარლამენტო დებატების მოთხოვნაზე უმრავლესობისაგან თავის არიდებამ, ნაცნარჩენები ისევ მოასულიერა. ნადირაშვილის სწორად გათვლილ პროვოკაციაზე (ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გზების დეპარტამენტი), ჩვენგან მხოლოდ წამოკნავლებები საკმარისი ვერ იქნება. ჩვენი უნიათობის თუ შიშების გამო, ნაცნარჩენებმა თავისთვის, არცთუ ცუდი დღის წესრიგი ისევ მოგვიხერხეს. ერთ ჩემს ახლობელს დავესესხები და ძალიან ცუდად ვიქცევით, ასეთი უნიათობით ყოფარიებს ვამრავლებთ ჩვენ სამშობლოში, რაც ძალიან ცუდია, ცუდი.

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

რა ასაკის ბავშვი უნდა შევიყვანოთ სკოლაში?

სასკოლო ასაკის განსაზღვრასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრო ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. როგორც სამინისტროდან იტყობინებიან, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკის ცვლილებასთან დაკავშირებით დასკვნითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები განათლების სისტემით დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებს, განათლების ექსპერტებსა და ფსიქოლოგებს შეხვდნენ.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომ სასკოლო ასაკი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განისაზღვროს 6 წლით. ამასთან, 2014-2015 სასწავლო წელი განისაზღვროს გარდამავალ პერიოდად და სასკოლო ასაკის მქონედ მიჩნეულ იქნენ ბავშვები, რომელთაც 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეუსრულდებათ 6 წელი, ხოლო 2015-2016 და ყოველი შემდგომი სასწავლო წლისათვის სასკოლო ასაკის მქონედ მიიჩნევიან ბავშვები, რომელთაც 6 წელი შეუსრულდებათ სასწავლო წლის დაწყებამდე.

ინტერპრესი

პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს 2008 წლის გაზაფხულზე თავდაცვის სამინისტროში, ღამის 01:00 საათზე, სოხუმამდე მისვლის გეგმა გააცნეს. ნინო ბურჯანაძის თქმით, სამინისტროში გამართულ თათბირს გენერალური შტაბის თითქმის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა და ამ ფაქტს არა ერთი მოწმე ოფიცერი ჰყავს. ბურჯანაძე ასეთი გადაწყვეტილების მოწმეთა შორის ქვეყნის მაშინდელ პირველ პირებს - სააკაშვილს, მერაბიშვილს, ბოკერიას, ტყეშელაშვილს, ლომაიას, ვაშაძეს და კეზერაშვილს ასახელებს.

ბურჯანაძე ამბობს, რომ აფხაზეთის მიმართულებით ომის დაწყების კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ის და გელა ბეჟუაშვილი. მისივე თქმით, გიგა ბოკერია ბოლო ხმაზე ისტერიკულად გაყვიროდა — კარტა ბელე გვაქვს და აუცილებლად უნდა დავიწყოთ ომი აფხაზეთშიო.

„ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთმა აფხაზეთში სარკინიგზო ჯარები შეიყვანა და აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა დაიწყეს. არსებობდა კონკრეტული გეგმა, რომელიც თავდაცვის სამინისტროში ღამის პირველ საათზე გამაცნეს. ეს იყო სოხუმამდე მისვლის გეგმა. ამას ესწრებოდა გენერალური შტაბის შემადგენლობა, მაგრამ სოხუმს იქით დანარჩენი აფხაზეთი სააკაშვილს და მის მეგობრებს არ აინტერესებდათ.

სწორედ მაშინ შედგა სატელეფონო საუბარი სააკაშვილსა და პუტინს შორის, რომელიც ასევე პირველად სააკაშვილმა გაახმოვანა და არა მე. ამ სატელეფონო საუბარს ვესწრებოდი და ის ჩემი ინიციატივით შედგა. სააკაშვილმა გაიხსენა კიდეც, რომ სწორედ მაშინ უთხრა პუტინმა, რომ თუ შენ ომს დაიწყებ, იქ დგანან ჩვენი სამშვიდობო ძალები, დავამარცხებ შენს ჯარს, ვცნობ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს და დაგიშლი ქვეყანასო“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ამ სკანდალურ განცხადებაზე განმარტებები „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ გაკეთებულა. ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აცხადებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში აფხაზეთის და ცხინვალის მიმართულებით საომარი მოქმედების დაწყების განზრახვა ხელისუფლებას ჰქონდა.

For.ge გოგა ხაინდრავას ესაუბრა.

როგორ თამაშობდნენ ნაცები ომობანას...

სააკაშვილის გარემოცვაში რუსეთის ინტერესების გამტარებელი მერაბიშვილი იყო

— თქვენ იყავით სააკაშვილის ხელისუფლებაში მინისტრთა კაბინეტის წევრი. როგორც აღმოჩნდა, მთავრობის წევრებს შორის საომარი მოქმედების დაწყების შესახებ საუბრები მიდიოდა, ანუ ეს განზრახვა ჰქონდა ხელისუფლებას?

— თავიდანვე ვიცოდი ამ განზრახვების შესახებ. სააკაშვილის უახლოეს გარემოცვასთან დაპირისპირების ერთ-ერთი საბაბი ეს ფაქტი იყო. პირველი დღეებიდან ავანტიურული გეგმები აფხაზეთთან და ცხინვალთან დაკავშირებით არ ასვენებდათ. ეს ჩემთვის გასაკვირი არ იყო. აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ მის გარემოცვაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო რუსეთი ინტერესების გამტარებელი. ჩემთვის ეს თავიდანვე იყო ნათელი. უბრალოდ, ცოტა დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ გამოაშკარავებულიყო, თუ ვინ იყო მთავრობაში რუსეთის ინტერესების გამტარებელი. 2004 წელს ცხინვალზე განხორციელებული ავანტიურის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეს ვანო მერაბიშვილი იყო.

— ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ ომის დაწყების ინიციატორი გიგა ბოკერია იყო. თქვენ რა ინფორმაცია გქონდათ, ბოკერია იყო ომის დაწყების ინიციატორი?

— გიგა ბოკერია იყო „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგი და ძალიან აგრესიული ადამიანი. უშუალოდ გიგა ბოკერია იცავდა რუსეთის ინტერესებს-თქო, ამის თქმა ნამდვილად არ შეიძლება, ეს ვერ წარმომიდგენია, მიუხედავად იმისა, რომ ამ თამაშში აღმოჩნდა ჩართული და რეალურად, რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა და არა საქართველოსი. ეს შედეგმაც აჩვენა, ეს მისი პირადი ტრაგედიაა. უშუალოდ შემსრულებელი კი მერაბიშვილი იყო.

მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ სააკაშვილის „აგდებას“ არაფერი უნდოდა. როგორც წესი, ეს მერაბიშვილის ხელით ხდებოდა. პირდაპირი წამქეზებელი და რუსეთის მოკავშირე იყო სააკაშვილის ბიძა, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებს წარმოადგენდა, რაც არავისთვის არ იყო დასამალი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ასეთ გადაწყვეტილებებს სააკაშვილს **აღებინებდნენ.**

— ვინ აღებინებდა ამ გადაწყვეტილებას სააკაშვილს?

— როგორც წესი, მერაბიშვილი საკუთარ ინტერესებს და იდეებს ასაღებდა სააკაშვილის იდეებად და მასაც აჯერებდა, რომ ეს მისი აზრი იყო. რაც ბურჯანაძემ თქვა, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რაზეც ამ 5-6 წლის განმავლობაში მქონდა საუბარი. ეს არაა ერთჯერადი შემთხვევა. ის, რომ სააკაშვილს მხედრული წარმატებები არ ასვენებდა, ეს თავიდანვე იყო ცნობილი. სულ იწევდა აფხაზეთისკენ და ცხინვალის რეგიონისკენ. ამას ძალიან სერიოზულად ეწინააღმდეგებოდნენ ამერიკელები.

— როდესაც იღებდნენ გადაწყვეტილებას ომის დაწყების შესახებ, რით სარგებლობდნენ, ჰქონდათ რამე ანალიზი ან კვლევა, რა შედეგი შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა?

— არა. 2008 წლამდე რამდენჯერმე იყო პროვოკაციების მცდელობა აფხაზეთის მიმართულებით. იგივე, არჩევნების დღეს, ასევე სააკაშვილის „გმირობა“, როდესაც მარტო მიიწევდა რუსი სამხედროების წინააღმდეგ, პირდაპირ რუსი სამხედროების წინ ბავშვების ბანაკები იყო მოწყობილი, ეს ყველაფერი იყო პროვოკაცია. მიხეილ სააკაშვილის ფსიქიკა არასოდეს იყო ჯანმრთელი. მინდა, გაგახსენოთ ძალიან დიდი ბილბორდები, რომელიც პირდაპირ, დაუფარავად მიანიშნებდა, რომ მოტივი იყო სამხედრო გზით აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება.

— ბურჯანაძე ამბობს, რომ 2008 წლის გაზაფხულზე თავდაცვის სამინისტროში მას გააცნეს სოხუმამდე მისვლის გეგმა. რატომ სოხუმამდე და ფსოუმდე?

— გაგახსენებთ წერილს, რომელიც სააკაშვილმა მისწერა ვლადიმერ პუტინს. ამ წერილმა ერთხელ გაიელვა პრესაში, მაგრამ ყურადღების მიღმა დარჩა. ამ წერილში პუტინს სთავაზობდა გალამდე გაყოფილიყო აფხაზეთი. ეს წერილი მარტივად შეგიძლიათ მოიპოვოთ. ამ ტიპის განზრახვები სააკაშვილსა და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის სხვადასხვა არხებით მიმდინარეობდა. პირველ რიგში, ეს იყო ბიძამისი თემურ ალასანია. მეორე არხი იყო გელა ბეჟუაშვილი, რომელიც თავად არ მალავდა არასოდეს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს წარმოადგენდა. სააკაშვილის გონება სხვადასხვა ადამიანების მიერ იმართებოდა ძალიან ოსტატურად. მის გარემოცვაში მინიმუმ სამი ადამიანი რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა.

— ვინ იყვნენ ეს ადამიანები?

— ვანო მერაბიშვილი, გელა ბეჟუაშვილი და თემურ ალასანია. მერაბიშვილი ფეესბესთან ურთიერთობაში დაფიქსირებულია ბელორუსიაში, ჩინეთში. არც მოსკოვს არ ერიდებოდა. ძალიან პოპულარული და ადვილად ხელმისაწვდომი იყო რუსული მედიისთვის მერაბიშვილი... ისეთი პიარი ჰქონდა მერაბიშვილს რუსულ პრესაში, რომ პუტინის მერე ასეთი პოპულარული კაცი რუსულ პრესაში არავინ ყოფილა. ერთადერთი არენა, სადაც მერაბიშვილი ინტერვიუებს იძლეოდა, სადაც მერაბიშვილზე იწერებოდა როგორც ძალიან წარმატებულ პოლიტიკურ მოთამაშეზე, ეს იყო რუსული პრესა. ამის არაერთი მაგალითი გვაქვს, მაგ. მისი ცინიკური განცხადება რუსულ პრესაში, რომ ევროპელები რჩევას გვაძლევენო, მაგრამ ჩვენ რასაც ჩავთვლით საჭიროდ, იმას ვაკეთებთო.

ეს მოზაიკასავითაა, ცალკეული ნატეხი შეიძლება სურათს ვერ ქმნის, მაგრამ ეს ყველაფერი ერთად რომ შეერთდება, შეერთდა კიდევაც და საბოლოო წერტილი დაესვა 2008 წელს. მერაბიშვილის განხორციელებული იყო, როდესაც რეალურად საზღვარი დააწესა ცხინვალთან, საბაჟო შექმნა და იქიდან ხალხი ვერ გადმოდიოდა. პროდუქტების გადატანა-გადმოტანას ბაჟი დაადეს. ამის გამო ძალიან სერიოზული დაპირისპირება იყო ჩვენს შორის. რეალურად, საზღვარი ცხინვალის რეგიონსა და მთელს დანარჩენ საქართველოს შორის მერაბიშვილმა შემოიღო. შეგახსენებთ ორი სანაკოევის პროექტს, რომლიდანაც ერთი უშიშრობის თანამშრომელი აღმოჩნდა.

> **მიხეილ სააკაშვილის ფსიქიკა არასოდეს იყო ჯანმრთელი. მინდა, გაგახსენოთ ძალიან დიდი ბილბორდები, რომელიც პირდაპირ, დაუფარავად მიანიშნებდა, რომ მოტივი იყო სამხედრო გზით აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება.**

ვინ ასრულებდა უშიშროების დაკვეთას? რა თქმა უნდა მერაბიშვილი, რომლის დაქვემდებარებაში იყვნენ ისინი, ის ტელევიზიაც მის დაქვემდებარებაში იყო. ჩემთვის გასაკვირია, როდესაც მერაბიშვილს ასეთ წვრილმანზე ასამართლებენ. ისეთი მასშტაბის კორუფცია, რაც მან და ჭიაბერაშვილმა განახორციელეს, მძიმე დანაშაულია, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც მან საქართველოში განახორციელა რუსეთის დაკვეთით, სულ სხვა მასშტაბის დანაშაულია.

— ალბათ, უნდა დაიწყოს გამოძიება, რა მოხდა 2004 და 2008 წლებს საქართველოში. როგორ იგეგმებოდა ომი და რა იყო ამის წინაპირობა...

— იმედია, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს პროკურატურა საბავშვო ბაღის ასაკიდან გამოვა. ცოტა უფრო მომწიფებულად მიუდგებიან ისეთ საკითხებს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის. ძალიან საინტერესო იქნებოდა ბურჯანაძის და მისი მეუღლის ჩვენებები. თავის დროზე ბიწაძემ დააფიქსირა ის 2000 დროშა და ავტობუსები, რომელიც მომზადებული იყო ცხინვალში აღლუმის ჩასატარებლად. ეს ერთ-ერთი მტკიცებულებაა იმისა, რაზეც დასაწყისში ვისაუბრეთ. ეს აზრები და იდეები არ ასვენებდა სააკაშვილს. ისევ ვიმეორებ, რომ ეს განზრახ ილექებოდა მის ავადმყოფურ გუნებაში იმათ მიერ, ვინც მის გარემოცვაში რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა. ისინი სულ უბიძგებდნენ, პატარ-პატარა დოზით აწვდიდნენ ამ იდეებს და მერე როგორც მისი იდეები, ისე ყალიბდებოდა. ცხინვალის ავანტიურა, პირველიც და მეორეც ზუსტად აქედან გამომდინარეობს.

— თქვენ იყავით მთავრობის წევრი, როდესაც ამ საკითხის განხილვა მიდიოდა, არ უწევდით წინააღმდეგობას?

— 2004 წელს, როდესაც ცხინვალის დაბომბვა დაიწყო, მაშინ ცხინვალში ვიყავი მოლაპარაკებებზე. მაშინ დავურეკე გიორგი ბარამიძეს და ვუთხარი, რომ თქვენ თუ ამ ავანტიურის განხორციელებას აპირებთ, მე ცხინვალს არ დავტოვებ-თქო. იმიტომ, რომ ცხინვალში საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ, სხვადასხვა ეროვნების, მაგრამ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან. მათთან ერთად დავრჩები ამ ავანტიურის საპირისპიროდ ცხინვალში-თქო. სხვათა შორის, ამან ძალიან სერიოზული გავლენა იქონია. მაშინ ამან გააჩერა ეს ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, რომლის ერთ-ერთი ავტორი იყო ვანო მერაბიშვილი.

— ბოკერიას როლი რა იყო ამ ყველაფერში? ამბობდა, რომ ომის დაწყების შემთხვევაში საქართველო გაიმარჯვებდა...

— ბოკერია სულ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. თუ გახსოვთ, სანამ უშიშროების მდივანი გახდებოდა, სულ მეორეხარისხოვანი როლები ეჭირა, მაგრამ, რეალურად იმ 4-5 კაცში შედიოდა, რომლებიც მართავდნენ ქვეყანას. ამ ნაცისტური აზროვნების იდეოლოგის ერთ-ერთი წარმმართველი იყო ბოკერია და ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული იყო ამ წრეში. მან რამდენიმეჯერ გამოააშკარავა თავისი აგრესიული და სასტიკი სახე, მაგალითად, ციხის ბუნტის დღეს. მისი ბრძანებით და ხელმძღვანელობით მიდიოდა ეს სადამსჯელო ოპერაცია.

ბოკერიას და რამიშვილის იდეოლოგიაზე იდგა სააკაშვილის ხელისუფლება. სხვათა შორის, ის უშუალოდ მონაწილეობდა მუხროვანის საქმეში. მისი ჩვენება ძალიან მნიშვნელოვანია ყველა იმ დანაშაულის დასადგენად, რომელიც ამ დანაშაულებრივ ხელისუფლებას აქვს ჩადენილი. ღამღამობით იკრიბებოდნენ და გეგმებს აწყობდნენ. როგორც წესი, მერე ეს გეგმები ძალიან მძიმედ უტრიალდებოდა ჩვენს ქვეყანას.

— 2004 წელს, როდესაც დაიწყო პირველი კონფლიქტი, მაშინ ზურაბ ჟვანიამ შეძლო კონფლიქტის მალევე ჩაწყნარება. ჟვანიას იდეებს ითვალისწინებდა ეს ხუთეული?

— ავტორიტეტული ფიგურა იყო, მაგრამ ძალიან მალე გახდა ხელის შემშლელი. მის წინააღმდეგ ძალიან აქეზებდნენ სააკაშვილს. აქაც მერაბიშვილის გავლენა ძალიან დიდი იყო ოქრუაშვილის საპირისპიროდ, რომელიც ზურას პატივს სცემდა. ზურა არ იყო ავანტიურისტი. მისი სახელმწიფოებრივი ხედვა ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე რომელიმე მათგანის. ამიტომ ვვარაუდობ, რომ ზურა მოიშორეს და არა მარტო რომელიმე საკითხის გამო, ზურა მოიშორეს იმის გამო, რომ ის ძალიან სერიოზულ წინააღმდეგობად იქცა სააკაშვილისთვის.

— 2004 წლის მოვლენებზე ოქრუაშვილი არაა პასუხისმგებელი? ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებაში...

— ისევე, როგორც კახა ლომაია. ე.წ. ჰუმანიტარული შტურმი, რომელიც წინ უძღოდა ამ სამხედრო ავანტიურას, ამის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ლომაია. განხვავებით სხვებისგან ოქრუაშვილი თავის დამოკიდებულებას ცხინვალის მიმართ არ მალავდა. წარმოშობით ცხინვალიდან იყო, შურისძიების პირადი ინტერესი და მოტივები ჰქონდა. ეს გასაკვირი არ იყო და არასოდეს არ მიკვირდა ოქრუაშვილის ეს პოზიცია.

მისი სიმტკიცე და აგრესიულობა გარკვეულწილად მოლაპარაკების პროცესში, რომელშიც მე ვმონაწილეობდი, გარკვეულწილად ხელს უწყობდა საქმეს. იმიტომ, რომ რუსები ძალიან ხშირად ეუბნებოდნენ ცხინვალის და ვლადიკავკაზის წარმომადგენლებს მოლაპარაკების დროს, ჯობია ხაინდრავასთან იპოვოთ საერთო ენა, თორემ ხაინდრავას თუ გაწევენ, მერე ოქრუაშვილი გამოჩნდებაო. ოქრუაშვილი იყო საფრთხობელა და ეს გარკვეულწილად პოზიტიურ როლს თამაშობდა. მაშინ, როდესაც აგრესიულობა ზღვარს გადადიოდა, ეს ქვეყნისთვის არ იყო სასარგებლო.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ვის და რატომ უგორებს კოჭს ევროკავშირი?

რაიდგან ჩვენს დღევანდელ და ყოფილ ხელისუფლებას მზე და მთვარე ამერიკაზე ამოსდის, აშშ პრეზიდენტის ბარაკ ობამას სიტყვის ორი ადგილით დავიწყებ, რომელიც სულ ახლახანს კონგრესში წარმოთქვა და მისი მსვლელობის დროს არაერთი ტაშიც დაიმსახურა.

კონგრესის წინაშე პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლა რახანია პოლიტიკურ შოუდაა ქცეული, თუმცა, ამ სპექტაკლში ხაზი ესმება აშშ-ის დამოკიდებულებას მსოფლიოს პოლიტიკურ მოვლენებთან, შეხედულებას გუშინდელ, დღევანდელ და ხვალინდელ ვითარებაზე. პრეზიდენტი ობამას ამჟამინდელი სიტყვის დიდი ნაწილი ქვეყნის საშინაო პრობლემებს მიეძღვნა, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა ჯერაც მძიმეა;

თუმცა, საგარეო პოლიტიკაზეც ითქვა - ლაკონურად და გარკვევით – ერთი ირანის მისამართით, მეორე - უკრაინის. ირანის მისამართით ნათქვამი იყო კატეგორიულიც და რესპუბლიკელი კონგრესმენებისა და სენატორების გამაფრთხილებელიც – არ გაბედოთ და არ განიხილოთ ირანის მიმართ ახალი სანქციების შემოღების საკითხი, თორემ ვეტოს დავადებო.

პრეზიდენტის აზრით, დადგა დიპლომატიური მოლაპარაკების გზით ირანთან არსებული მძიმე საკითხების მოგვარების ჟამი და ის არ უნდა გააუარესოს კონგრესის მიერ შემოღებულმა, ირანის საწინააღმდეგო ახალმა სანქციებმა.

ობამა და მისი ადმინისტრაცია მართალია. თუ დაიწყე მოლაპარაკება, ბარემ ბოლომდე მიიყვანე, მით უმეტს მაშინ, როდესაც მოლაპარაკების პარტნიორი, მოგყვება.

ირანის ხელისუფლება – პრაგმატულად განმსჭვალული, აშკარად ავლენს დასავლეთთან, კერძოდ აშშ-სთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოების სურვილს და არა მარტო სურვილს, არამედ საქმითაც მზად არის, გააკეთოს ის, რაც ჟენევის მოლაპარაკების ფორმატში ითქვა.

ირანის მხრიდან, რომ მოლაპარაკების ჩაშლას არაფერი ემუქრება, ცხადია, მაგრამ რას მოიმოქმედებს აშშ ან მისი მოკავშირე ევროპა, ვინ იცის. თუმცა, კონგრესის წინაშე გამოსვლის დროს ნათქვამი ძალაში დარჩება. ბოლოს და ბოლოს აშშ-ის პრეზიდენტმა თქვა და არა რომელიმე სენატორმა, ვთქვათ მაკკეინმა.

რაც შეეხება უკრაინას – პრეზიდენტის სიტყვაში ელვასავით რომ გაიელვა. პრეზიდენტის მიხედვით, თვით უკრაინელებმა უნდა გადაწყვიტონ საკუთარი თავისა და ქვეყნის ბედი. პრეზიდენტს არც უკრაინის მთავრობა და არც პრეზიდენტი იანუკოვიჩი არ გაუმათრახებია, ისე, როგორც ამერიკელ კონგრესმენებსა და სენატორებს, და არც აუგი უთქვამს რუსეთზე – შენი ბრალია, რაც უკრაინაში ხდება, შენ ასეთო და ისეთოო.

ერთი სიტყვით, ობამას რუსეთი არ დაუდანაშაულებია უკრაინაში მიმდინარე პროცესების გამო, ისე, როგორც ამას ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები აკეთებენ, თან აკეთებენ უაღრესად არაპროფესიონალურად, ღვარძლიანად, „ჩემი შენ გითხარის“ პრინციპით.

ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მაღალი ტრიბუნიდან რუსეთის ცალმხრივი დადანაშაულება მეტი არაფერია, თუ არა საკუთარი უსუსურობისა და არადიპლომატიური ქმედების სხვისთვის აკიდება, ამ შემთხვევაში რუსეთისთვის. მხოლოდ ბრმა და ყრუ უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს ევროპელი პოლიტიკოსების ნაჯახისებური დიპლომატია – განხორციელებული უკრაინის მიმართ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, დასავლელთა პოლიტიკას უსაზღვროდ შეუწყო ხელი უკრაინის პრეზიდენტისა და ხელისუფლების პროდასავლურმა პოლიტიკამ, მოსკოვთან გამუდმებულმა კამათმა, სისტემატურმა ორჭოფობამ, საით? – დასავლეთისკენ თუ აღმოსავლეთისკენ? პოლიტიკური სვლა - გეზის გამოუმუშავებლობამ, ვითარების ანალიზის უუნარობამ, მოჭარბებულმა მადამ ქვეყნის ბიუჯეტისა და სიმდიდრეების ჭამისა. ყოველივე ამან მიიყვანა უკრაინა დღევანდელ გაუსაძლის მდგომარეობამდე.

მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად ხელს აქტიურად ურევენო, რომ იტყვიან, სწორედ უკრაინაზეა ნათქვამი. ხელის მოფათურეები კი უხვად არიან ამერიკა-ევროკავშირიდან. ჰკითხეთ ევროკომისარ ფულეს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა გამგეებელ ეშტონს, მათზე დიდ (თანამდებობით) ბაროზუს, შვედეთ-პოლონეთის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებს, სხვა მაღალჩინოსნებს, რამდენჯერ ბრძანდებოდნენ კიევში იანუკოვიჩთან სალაპარაკოდ? და ისიც დიდის სიხარულით ეჭუკჭუკებოდა მათ უკრაინის ხვალინდელ ევროკავშირულ დღეზე.

და ჰკითხეთ პუტინს, მედვედევს, ლავროვს ან სხვა რუს პოლიტიკოსებს, რამდენჯერ იმყოფებოდნენ კიევში? შეფარდება ევროკავშირის სასარგებლოა – ასით ნულზე.

ჰკითხეთ აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, ევროპის სხვა ქვეყნების ელჩებს უკრაინაში, რამდენჯერ ჩაუტარეს ევროკავშირული გაკვეთილი იანუკოვიჩს, აზაროვს, სხვა უკრაინელ პოლიტიკოსებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში და რუსეთის ელჩს ზურაბოვს, რამდენჯერ შეხვდა იანუკოვიჩს ზემოაღნიშნულ პერიოდში?

გაღმით შედავება რახანია ამერიკა-ევროკავშირის უმთავრესი ინსტრუმენტია და თუ ვინმეს ყურსა და გულს იპყრობს – საქართველოა. სტრასბურგში მყოფი „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი ბაღაშვილი ისე ტენდენციურად, ისეთი სიხარულით გვაუწყებდა - ევროსაბჭომ რუსეთს მიუთითა – ხელს ნუ უშლი უკრაინის ასოცირებულ წევრობასო, თითქოს მართლაც უშლიდეს.

ჟურნალისტს რუსეთის გაქილიკებაში არც საქართველოს პარლამენტის დელეგაციის „ოცნებელი“ და „ნაცი“ დეპუტატები ჩამორჩნენ, თითქოს ამით ცხინვალის ომიც მოიგეს, აფხაზეთიც დაიბრუნეს და რუსეთის საზღვრები დასავლეთიდან ციმბირში გადაიტანეს.

ევროსაბჭომ დაგმო უკრაინის ხელისუფლება, მომიტინგეთა მიმართ ძალის გამოყენების გამო და იმასაც დაპირდა – თუ კიდევ გაბედავ მსგავსს, სასტიკად დაგსჯიო. რას ნიშნავს სასტიკად დასჯა? – სესიებზე ხმის ჩამორთმევას. და ეს ისე მოგვაწოდა ბაღაშვილმა, თითქოს ამით ქვეყანა დაიქცა.

ევროსაბჭოს ტენდენციურობა კარგადაა ცნობილი. წლების განმავლობაში ეს ორგანო ხან შევარდნაძეს უგორებდა კოჭს, ხან – საკაშვილს. განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა საკაშვილის მიმართ, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე ნოყიერი „საკვებით“ უმასპინძლდებოდა ორგანიზაციის ემისრებს. ისინიც თვალს იბრმავებდნენ საკაშვილის მიერ ჩადენილ ბოროტებაზე. საქართველოს ხელისუფლებას ყველაფერს პატიობდნენ, მათ შორის მომიტინგეთა არათუ უმოწყალო ცემას, მკვლელობასაც კი. უკრაინას არ აპატიეს!

წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ქვეყნის დელეგაციაში შედიოდნენ, რომ არაფერს იტყოდნენ ევროსაბჭოს შერჩევით სამართალთან დაკავშირებით, ფაქტია. მაგრამ სად იყვნენ „ოცნებელი“ პარლამენტარები? ნუთუ სიტყვა არ უნდა ამოეღოთ 2011 წლის მაისს, პარლამენტის შენობასთან, მომიტინგეთა მიმართ სააკაშვილის მიერ გამოვლენილი არაადამიანური ქცევის გამო?! ევროსაბჭოს სიმართლეს მაშინ იწამებდა კაცი, საქართველოს ამბავიც რომ გაეხსენებინათ.

საქართველო ერთადერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, რომელიც, 1989 წლიდან დაწყებული, ზომაზე მეტად აღგზნებულად იქცევა და ამით უპირველესად საკუთარ თავს ვნებს. ფაქტი სახეზეა. თუ ჩემი არ გჯერათ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შეხედეთ. არც ერთი მათგანი საბჭოთა ნანგრევებში არ მოჰყოლია. საქართველო - მოჰყვა, რის შესახებაც წერს ჯუმბერ პატიაშვილი თავის წიგნში.

არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას არ მოუწყვია 9 აპრილი, შიდა ომები (თბილისის, აფხაზეთის, მანამდე ოსეთის); არც ერთს არ უთხოვია რუსეთისა და დსთ-სთვის საკუთარ ტერიტორიაზე ეკონომიკური სანქციების დაწესება; არც ერთს არ ულანძღია და ლანძღავს რუსეთს ისე, როგორც ჩვენ; არც ერთს არ გაუჩაღებია ომი თავის ტერიტორიაზე და ამით პირდაპირ არ შებმია მსოფლიოს ბირთვულ სახელმწიფოს, როგორც ჩვენ; არც ერთს არ უღიარებია ჩერქეზთა გენოციდი, ისე, როგორც ჩვენ და არც ერთს პროტესტი არ გამოუთქვია სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე, როგორც ჩვენ.



სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე საათებია დარჩენილი და ჩვენ მაინც ჯიქურ გავყვირით– ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონო! ბენდუქიძის ტელევიზიაში გამოსულმა ქართული პოლიტიკის „კორიფეებმა“, მათ შორის „ღრმადგანსწავლულმა“ რურუამ დაგმო ქართველთა სოჭში მონაწილეობა და ისიც თქვა – მაინც რა გვინდა იქ, მედლებს ხომ ვერ ავიღებთო!

ამ ლოგიკით არც ზიმბაბვე უნდა იღებდეს მონაწილეობას ზამთრის ოლიმპიადაში. ამ ქვეყნის სპორტსმენებს თოვლი ტელევიზორით თუ აქვთ ნანახი. საქართველო, ზიმბაბვესთან შედარებით, ზამთრის სპორტის სამშობლოა...

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი არის ანტირუსული ბოღმის, ბოროტების გადმოფრქვევა და ამ საქმეში ქართული საზოგადოების აყოლიება. აიყოლიეს კიდევაც და არა მარტო ეს ხელისუფლება, არამედ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ზოგი რუსს ლანძღავს, ზოგიც რუსეთს, ზოგიც პუტინს და მის ხელისუფლებას, თითქოს ამ ლანძღვით რაღაცას აკეთებენ ქვეყნის სასიკეთოდ.

რაღაცას მაინც აკეთებენ – ენის აყროლება და ქვეყნის გაწირვა რომ ჰქვია. ანუ მათი ენით ამყრალებული სიტუაცია რომ ბუმერანგივით უბრუნდება ქვეყანას, ამას ანალიზს ვერ უკეთებენ.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ობამამ თავის გამოსვლაში იანუკოვიჩი და პუტინი არ გალანძღა. არათუ გალანძღა, არცკი ახსენა. მაგრამ როდესაც ამდენი მლანძღველი გყავს ქვეყნის შიგნით და ევროკავშირში, პირს რატომ აიმყრალებ?

პუტინის მაგინებელ კატეგორიას განსაკუთრებულ ელფერს სძენს პატივცემულ პეტრე მამრაძის „ღრმადსაფუძვლიანი“ ნათქვამი, გამოქვეყნებული „საერთო გაზეთში“. უკრაინის თემაზე მიძღვნილ ინტერვიუში. რესპონდენტი გვაუწყებს: „იანუკოვიჩი უნდა წავიდეს. პუტინი მას უკვე ვეღარ დაეხმარება, რადგანაც ის თავად გახლავთ ყველაზე კორუმპირებული მმართველი რუსეთის ისტორიაში. ეს აღიარებულია ექსპერტების მიერ. ბოლო წლებში, ცნობილი რუსი მოღვაწეები არაფერს მალავენ უკვე და ღიად წერენ არსებულ სიტუაციაზე. . . ამ უმდიდრესი ქვეყნის მატერიალური შესაძლებლობები ხელში ჩაიგდეს ოლიგარქებმა და ბანდიტური რეჟიმი დაამყარეს“.

ბარაქალა ბატონ პეტრეს! თვალი არ აგვიხილა პუტინისა და მის რუსეთზე?! მაგრამ ეს „საიდუმლო“ მასალა, რომ სისტემატურად ტრიალებს „RTVI“-სა და „ეხო მოსკვი“-ს ეთერში. და ის ექსპერტები, რომლებსაც პეტრე იმოწმებს, რომ ნოვოდვორსკაიების, ალბაცევების, ბუნტმანების, ნემცოვების, რაძიხოვსკების, სხვა „ჭეშმარიტი“ „რუსების“ სახით, დღეში ასჯერ რომ ტვინს უბურღავენ მსმენელებს – ყოველგვარი ცენზურის გარეშე? და არათუ ამბობენ - წერენ კიდევაც, სისტემატურად, ფაქტებისა და დამადასტურებელი საბუთების დამოწმების გარეშე? და ეს ხდება „არადემოკრატიულ“, „ცენზურიან“ რუსეთში?!

დასავლეთის, მით უმეტეს აშშ-ის მეხოტბე მამრაძისგან გასაკვირი არ არის რუსეთის ლანძღვა, მაგრამ ყველამ ხომ არ იცის პეტრეს დასავლური „ფანობის“ ამბავი? თუმცა, საქმეში ჩაუხედავიც წაკითხვისთანავე მიხვდება, სად მარხია ძაღლის თავი, ანუ რუსეთის ლანძღვის პეტრესეული ფილოსოფია, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდება პრეზიდენტ რეიგანის მრჩევლის დუგლას ბანდოუს მოსაზრებიდან: „ობამას ადმინისტრაციამ თავი უნდა შეიკავოს კიევში განვითარებულ პროცესებში ჩარევისგან...

უსაფრთხოების თვალსაზრისით, უკრაინაში რუსეთის მოქმედება საფრთხეს არ უქმნის აშშ-ს. ამერიკის მოქმედებაზე კი ამას ვერ იტყვი – ნატოს ექსპანსია რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან შეუძლებელია რუსეთისთვის შემაშფოთებელ პროცესად არ განიხილებოდეს. ეს ისეთივე მოვლენაა, „ვარშავის ხელშეკრულების“ წევრი ქვეყნები, მექსიკამდე რომ გაფართოვდნენ.

არათუ დღე, საათიც კი ისე არ გავა, რომ ვაშინგტონი სხვა ქვეყნის ხელისუფლების მოსყიდვას ან შეშინებას არ შეეცადოს. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ამერიკა იქცა სახელმწიფოდ, რომელიც დასახული მიზნების მისაღწევად რეგულარულად იყენებდა სამხედრო ძალას. ვაშინგტონს ვერ წარმოუდგენია ერთი პრობლემაც კი, რომელიც ამერიკის ჩაურევლად შეიძლება გადაწყდეს. უკრაინის სტატუსი სწორედ ასეთ საკითხებს განეკუთვნება“.

ბანდოუს აზრით, ამერიკა გვერდს არ აუვლის უკრაინას, ისე, როგორც ობამა თავის გამოსვლაში. ის (აშშ) ყოველთვის მზად იქნება – ჰეგემონობის მწვერვალზე მდგომი, უკრაინასაც „მიხედოს“, მოლდოვას და საქართველოსაც – მოსარჯულებლად. თუმცა, აშშ-ისგან მორჯულება რად უნდათ -– თვით რჯულდებიან, თანაც რახანია – ფულისა და დივიდენდების მოლოდინში.

შევარდნაძის ხელისუფლებიდან მოყოლებული, დღემდე საქართველოს პოლიტიკოსები, ჟირაფივით კისერდაგრძელებულნი, შორს, ოკეანის გადაღმით იყურებიან და ამ ყურებაში ხელისუფლებასაც ინარჩუნებენ და ხელისუფლებაში ყოფნით გამოწვეულ სიკეთეებსაც.

რომ არა ვაშინგტონის მხარდაჭერა, შევარდნაძე და მისი ახლობლები შეაწერდნენ მოსახლეობას ანაბრებს?

რომ არა ვაშინგტონი, შევარდნაძის ახლო ნათესავები მილიონებს იშოვნიდნენ?

რომ არა აშშ, საკაშვილი ასე თავისუფლად „იბაირამებდა“ ან კეზერა შვილი იარაღით ვაჭრობით და სხვა თვალშისაცემი მაქინაციებით მილიარდებს იშოვნიდა?!

რომ არა აშშ, საქართველო ასეთი „გაფარჩაკებული“ იქნებოდა?!

საქართველოს ეროვნული აკადემიის კრებაზე გამოსულმა აკადემიკოსმა თეიმურაზ ნანეიშვილმა განაცხადა: „კატასტროფულად შემცირდა ქვეყანაში მეცნიერთა რიცხვი. 80%-ით შემცირდა სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა. ახალგაზრდობამ დაკარგა მეცნიერებისადმი ინტერესი... 10 წლის განმავლობაში სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან“... და ა.შ.

არათუ მეცნიერება, მთელი ქვეყანაა სტრესულ მდგომარეობაში. სადაც გაიხედავთ, ყველგან სტრესია. ავიღოთ თუნდაც ტრადიციული სოფლის მეურნეობა. სულ ახლახანს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ – სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო სპეციალისტი და პოლიტიკოსი ჯუმბერ პატიაშვილი წერდა: „გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო სოფლის მეურნეობის კუთხით ერთ-ერთი განვითარებული იყო და ბოლო 25 წლის განმავლობაში ის გადაიქცა უცხოური პროდუქტების ყველაზე დიდ მომხმარებლად. საქართველოს სოფლის მეურნეობა განადგურების ზღვარზეა“.

რისი და ვისი ბრალია საქართველოს დაცემა? ყველა წინამორბედი ხელისუფლების. არც ეს ხელისუფლება აკლებს ხელს, მაგრამ არანაკლები დანაშაული სწორედ იმ დასავლეთზე მოდის, რომელსაც საქართველო მხოლოდ მომსახურე პერსონალის ქვეყნად გაუმწესებია. აშშ და ევროკავშირი საქართველოს მოსახლეობას აღიქვამს მძღოლებად, ოფიციანტებად, დალაქებად, ტურისტების ფეხის მბანელებად, მექისეებად, ბოზებად, მაგრამ არა მეცნიერებად, ინჟინრებად, სოფლის მეურნეობის მუშაკებად, სხვა დარგის სპეციალისტებად.

რაში სჭირდება დასავლეთს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სოფლის მეურნეობა ან მრეწველობა? არც არაფერში! თავისისთვის ვერაფერი მოუხერხებია, თავისი დაუსაქმებელი ვერ დაუსაქმებია. ხელისუფლება კი ევროკავშირში შევდივართო (ან შეგვიშვებენ ან არა) გაჰყვირის. თან იმასაც ამატებს – ვუბრუნდებით ევროპას, სადაც ვიყავით და გზა გადაგვიკეტესო.

რაღაც არ მახსენდება საქართველოს ევროპაში ყოფნა. თქვენ ხომ ვერ შემახსენებთ, პატივცემულო მკითხველო, როდის იყო ეს სანუკვარი ჟამი?

სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობა ხომ არ აქვს მხედველობაში „ბრძენ“ ხელისუფლებას? თუ ეს აქვს, კარგად წაიკითხონ სულხან-საბას წიგნი, რომ დაინახონ ევროპის საქართველოსადმი დამოკიდებულება.

სამწუხაროდ, ეს ვიზიტი ვერ გამოდგა ევროპის საქართველოთი დაინტერესებისთვის. ვერც ევროპელმა მისიონერებმა და მოგზაურებმა დააინტერესეს ევროპის სამეფო კარი საქართველოთი. და თუ ევროპამ დაგვინახა, ჩვენის მხრიდან გალანძღული და მოკვეთილი რუსეთის იმპერიის დამსახურება იყო, რის შესახებაც კარგად წერს ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა.

აქაური მოდის მიმდევარი მაღალი წრის ქალებისა და მამაკაცების ჩაცმულობასთან დაკავშირებით მწერალი აღნიშნავს, რომ პარიზში მოდაში შემოსული ტანსაცმელი, ერთ კვირაში თბილისშიც ჩნდებაო. მაგრამ რით იყო ეს განპირობებული? უპირველესად იმით ხომ არა, რომ მეფის რუსეთი იძლეოდა ამის საშუალებას? საქართველოს ევროპისთვის გაცნობა, ხომ რუსეთის მეშვეობით ხდებოდა? მაშ, ვინ გადაგვიღობა გზა? ევროპელთა დაუინტერესებლობამ, ხომ არა?

დღეს სხვა დროა, სხვა ვითარება. ევროპას, რუსეთთან საკინკლაოდ სჭირდება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები და არა ამ რესპუბლიკების (ქვეყნების) წარმატებული ცხოვრებისთვის. ევროპას და აშშ-ის რუსეთთან დიდი ჭიდაობის სერია აქვთ წამოწყებული და ამ სერიაში საქართველოს როლი რუსეთის გამღიზიანებლობაა. გაღიზიანებული დათვის მოქნეული ტორი თუ ვის დააზიანებს, ცნობილია. უპირველესად საქართველოს.

სხვებს სხვისი გაკვეთილებიდან გამოაქვთ დასკვნები. ჩვენ, ჩვენი მწარე გაკვეთილებიდანაც ვერ ვაცნობიერებთ ჩვენს ქცევას.

ჰამლეტ ჟიჟაშვილი,
პოლიტოლოგი.

კვლავ „მეგრული სეპარატიზმის“ საფრთხის შესახებ

ჟურნალ „თბილისელების“ 2013 წლის 30 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ვახტანგ მაისაიას ინტერვიუში ნათქვამია, რომ პუტინის ადმინისტრაციაში მუშაობს კავკასიური პრობლემების საკითხებში დედით ჩეჩენი, ვინმე ვლადიმერ სურკოვი. მას ეკუთვნის სუვერენული დემოკრატიის იდეა „კონსერვატიული მოდერნიზმი“, რომელიც თითქოს პუტინმა გაამჟღავნა. ეს იდეა გულისხმობს ახალი რეგალიების მორგებას იმ ტრადიციული ევრაზიული იდეოლოგიისთვის, რითაც იმართება რუსეთი. უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ-სამხედრო მოდერნიზაცია.

„აქ ჩაგდებულია ფარული ექსპანსიონიზმი. მეგრული სეპარატიზმის იდეის მორგებით, რუსეთი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ტერიტორია მოაქციოს საკუთარი გავლენის ქვეშ და ასეთი ტერმინიც შეიძლება შემოვიღოთ — „ლატერნული ექსპანსიონიზმი.“ — აცხადებს მაისაია. ამის საფუძველს მას აძლევს გალის რაიონში დაწყებული სამხედრო ბაზების მოწყობა და მძლავრი, თანამედროვე ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ანტიტერორისტული ცენტრისა და დაზვერვის მძლავრი ორგანიზაციის შექმნა, რითაც მალე კრემლი შეეცდება გალს მისცეს პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი, მეგრულს გამოაცხადებენ ტიტულოვან ენად და დაუქვემდებარებენ უშუალოდ კრემლს. სვანებს მისცემენ კულტურულ ავტონომიას. და რასაც ცარიზმი საკუნეების წინათ ცდილობდა სახეშეცვლილი მეთოდებით, ახლა მოახერხებს პუტინი. და ის, რაც თითქოს ზვიად გამსახურდიას ეწადა — „სამეგრელო-აფხაზეთით“ დაპირისპირებოდა დანარჩენ საქართველოს, განმეორდება.

წარმოდგენილი ვერსია ნამდვილად უფრო ცუდი მოსასმენი და მეტად საშიში იქნება, როცა განგაშის ზარს პოლიტიკოსები და ექსპერტებიც ჩამოკრავენ, თუ ზამთრის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ, კრემლი ეცდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მორიგ ხელყოფას. თუმცა, რა ფორმითა და საშუალებით, ეს უცნობია.

ცხადია, გალი დღეს ყველაზე „არა საიმედო რეგიონია აფხაზეთში“. იქაური მეგრულენოვანი ქართველები სისტემატიურად ეწინააღმდეგებიან ხელისუფლებას. მათი ნათესავები და ახლობლები ცხოვრობენ სამეგრელოში და მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა და რეჟიმის გამკაცრებისა, გადმოდიან მდინარე ენგურზე და — პირიქით. გალში არც ერთი ქორწილი და დასაფლავება არ ხდება სამეგრელოში მცხოვრებთა მონაწილეობის გარეშე. მარცვლეულის თესვისა თუ მოსავლის აღება-დაბინავებაში აქტიურად მონაწილეობენ სამეგრელოს მცხოვრებლები. ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია, პირიქით, ის უფრო და უფრო ღრმავდება.

თუ რუსეთის ხელისუფლება, აქედან გამომდინარე, გაბრიყვდება და გალის ქართველებს ცალკე შეუქმნის ავტონომიას და კრემლს დაუქვემდებარებს, როგორც ბატონი მაისაია ვარაუდობს, კრემლი იშოვის მოხალისე ადგილობრივ მცხოვრებთ და ჩაუყენებს მათ სათავეში. და ეს ყველაფერი იმისთვის გაკეთდება, რომ მომავალში აღმოსავლეთი სამეგრელო მიუერთონ „გალის ავტონომიას“. ცხადია, ეს აუცილებლად გამოიწვევს სეპარატისტული „სოხუმის“ (და არა მხოლოდ მათ) გაღიზიანებას და ადეკვატურ მოქმედებებს.

ეს მიერთება-შეკოწიწება ძეხვის მოჭრა არ არის, ან პურის ჩაკბეჩა. ამგვარი რამ, ხალხის ნებაყოფლობით, გამორიცხულია. და თუ რუსეთი ამისთვის გამოიყენებს სამხედრო ძალას, დარწმუნებული ვარ, იგი მიიღებს „მეორე ჩეჩნეთს“, ანუ უბეში ჩაისვამს მეორე შხამიან გველს. ჩრდილოეთ კავკასიას მიემატება სამხრეთ კავკასია. და ეს იქნება მარადიული სასაფლაო რუსეთისთვის. სამხრეთ კავკასიაში, მარტო საქართველო არ არის. ეკონომიკურად წარმატებული აზერბაიჯანია, რომელიც ასევე ვერ არის რუსეთისადმი კეთილგანწყობილი. გაჩნდება „ერთიანი კავკასიის“ ფრონტის შექმნის მძლავრი სტიმული. და ამ შხამს რუსეთი ვერ მოინელებს.

ამგვარი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმა სირეგვნე იქნება ჩრდილოელი მეზობლისათვის... ნუ ჩავარდებით პანიკაში და ნუ ავტეხთ ვაი-ვიშს, ნუ შემოვიკრათ თავში ხელებს და გოდებად ნუ ვიქცევით, ამის საფუძველი ნამდვილად არ არის.

ვინც სამეგრელოს წარსულსა და ისტორიაში ზედაპირულად მაინც ჩახედულია, მათ იციან, თუ რა თანამიმდევრობით მოახერხა ცარიზმმა საქართველოს მხარეების დამორჩილება. ქართლ-კახეთი სამეფო გააუქმა — 1801 წელს. იმერეთი 1810 წელს დაიპყრო, .გურია ჩვიდმეტი წლის შემდეგ მიითვისა, სვანეთი — 1857 წელს. აფხაზეთი — 1864 წელს და სამეგრელო ყველაზე ბოლოს, მხოლოდ — 1867 წელს. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ამის ახსნა შორს წაგვიყვანს. ფაქტია, სამეგრელო ნებისმიერი მტრისთვის ძნელი დასამორჩილებელი და მოსანელებელი იყო და იქნება.

საშუალო ასაკის ადამიანებს ახსოვთ, როცა აფხაზებმა პირველი შემოტევა დაიწყეს, სამეგრელოს მოსახლეობას დახმარებისთვის ხელისუფლებისთვის არ მიუმართავს, ტრანსპორტის ყველა საშუალებით, მანქანით, მისაბმელიანი ტრაქტორით, ცხენით, ველოსიპედით, ათასობით შეიარაღებული ადამიანი დადგა მდინარე ღალიძგასთან და მოწინააღმდეგეს არ მისცა გადმოსვლის საშუალება. ეს არის სიმედგრის, მამაცობის უტყუარი მაგალითი. მე მჯერა საკუთარი კუთხის პატრიოტული სულისკვეთებისა. იმის, რომ რაც არაბებს, მონღოლებს, ოსმალებს არ გამოუვიდათ სამეგრელოში, სხვა დამპყრობსაც არ გამოუვა. გავიხსენოთ თუნდაც ეგრისის სამეფო, ბიზანტიისგან ფორმალური ასიგნებების მიღებაზეც კი თქვა უარი გუბაზ-1-მა და წლების განმავლობაში შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. მე ამაყი ვარ იმითაც, რომ ცარიზმის რუსეთმა საქართველოს კუთხეებს შორის სწორედ სამეგრელოს დამორჩილება შესძლო ყველაზე მოკლე ხნით.

ცალკეული ადამიანებისგან განსხვავებით, ხალხს აუცილებლად გადაეცემა სიმედგრისა და თავდადების პათოსი, რაც საფუძველს იძლევა, რომ ცხოვრების წესით ვართ და დავრჩებით ერთგული დედასამშობლოსადმი.

რაც შეეხება იმას, თითქოს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ცდილობდა სამეგრელოსა და აფხაზეთის გამოყენებით დაპირისპირებოდა დანარჩენ საქართველოს და ეს სეპარატიზმის მცდელობა იყო, მტკნარი სიცრუეა. სამეგრელო მხარს უჭერდა ხალხის მიერ პრეზიდენტად არჩეულ ზვიად გამსახურდიას სამართლიან ბრძოლაში „სამხედრო ხუნტის“ წინააღმდეგ. ვინც ამ ბრძოლას სხვა სახელს მიაკერებს და სეპარატისტულ ახსნას მოუძებნის, საკუთარ მრწამსში ჩაიხედოს. დიდი ხანია მავანნი სამეგრელოს სეპარატიზმზე ენას იქავებენ. ცალკეულ უგუნურთა გამოხდომებისთვის, თავად ამ ძირძველი კუთხის მკვიდრთ გაუციათ საკადრისი პასუხი.

ვერ გავექცევით სამხრეთ ოსეთში ყოფნისას ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის და ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარის ფილიპ ლეფორის მიერ ცხინვალში გაკეთებულ განცხადებაზე მსჯელობას — „სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი დიდი ხანია განსაზღვრულია რესპუბლიკის მოსახლეობის მიერო“. თუ რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში ისევე დრამატულად წარიმართება, როგორც უკრაინაში, ამან შესაძლებელია რაღაც ცვლილებები გამოიწვიოს სეპარატისტულ აფხაზეთსა და ოსეთში. ექსპერტთა ვარაუდით, ეს შეიძლება იყოს ევროკავშირთან მათი დაახლოების მცდელობა. რუსეთის მხრივ სხვა რადიკალური ღონისძიებების გატარება ოდენ ავხორცი აღგზნების გამოძახილი იქნება, რაც ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის. რადგან ახალი ხელისუფლების ჟამს, რუსეთმა იქნებ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ნაბიჯი გადმოდგას საქართველოსკენ... პერიოდულად ეწყობა პრემიერის წარმომადგენლის — აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის —კარასინის შეხვედრა. გაიხსნა რუსეთის ბაზარი ჩვენი პროდუქციისთვის. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს ჩვენი მცირერიცხოვანი დელეგაცია. სააკაშვილის ხელისუფლების ცრუ მუქარისა და მჯიღის პოლიტიკა შეიცვალა ურთიერთობის დაბალანსების მცდელობით. სრული უგუნურება იქნება ამ ეტაპზე, როცა უკრაინაში ფართომასშტაბიანი სახალხო გამოსვლები მიმდინარეობს, როცა ამერიკა და ევროკავშირი გააქტიურებულია, სამხრეთ კავკასიაში რუსეთმა შეიქმნას ახალი პრობლემები. არც იმის იმედია, რომ რუსეთი ახლო მომავალში დაიწყებს ახალი ტერიტორიების ოკუპაციას.

2014 წელი შესაფერისი დროა, როცა ევროპას შეუძლია, ევროკავშირში საქართველოს მიღების საკითხი დადებითად გადაწყვიტოს. ჩანს, რუსეთი, ამ სურვილს დიდად არ ეწინააღმდეგება, რადგან მისმა მოკავშირე სომხეთმაც გამოთქვა ევროკავშირთან დაახლოების სურვილი.

მაგრამ ნატოსთან დაახლოებისა და „მაპის“ მიღების მცირედი შანსიც არ გვაქვს, რომ ევროპა ამ საკითხში რუსეთის წინააღმდეგ წავა. ამიტომ ევროკავშირში გაწევრება და ნატოში შესვლა ორი სხვადასხვა საკითხია.

საქართველოს ხელისუფლება ხვდება ამას. მიუნხენის კონფერენციაზე მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და დელეგაციის წევრებს, ევროკავშირში შემავალმა ქვეყნებმა არაორაზროვნად ურჩიეს ჩრდილოელ მეზობლებთან მდგომარეობის მოგვარება. ამის გამო ღარიბაშვილმა განაცხადა, „საქართველო ჩრდილოელ მეზობელთან დამოკიდებულების გამრავალფეროვნებას ცდილობსო. ასევე განმარტა, რუსეთთან მიმართებაში წინა ხელისუფლების რადიკალური მიდგომა აბსოლუტურად დამაზიანებელი იყო. ევროპელი ლიდერები იწონებენ რუსეთთან ახალ პოლიტიკას. ისინი მხარს უჭერენ ჩვენს მიდგომას. რუსეთმა დაიწყო კონსტრუქციული ნაბიჯების გადმოდგმა საქართველოსთან მიმართებაშიო.“

მაპი ახლა არ იქნება, მაგრამ გვაიმედებენ იქნება მოგვიანებითო, გვინდა თუ არა მაპი? რასაკვირველია, გვინდა. ეს საკითხი როდის გადაწყდება, არავინ უწყის. და თუ საქართველო ძალიან დაუახლოვდება ნატოში შესვლას, აი მაშინ უნდა ველოდოთ ჩრდილოელი მეზობლის აგრესიას. მანამდე რუსეთის დიპლომატია ათასი თვალით გვაკვირდება და ჩვენს ყოველ ნაბიჯს ჯერ მხოლოდ აკონტროლებს. თუ გავბრიყვდებით, მაშინ, რასაკვირველია, ამას გამოიყენებს.

ამიტომ, ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ თუ დაიწყება გალის ავტონომიისა და სვანეთის კულტურული ავტონომიის ორგანიზება, ეს იგივე ომის გამოცხადების ტოლფასი იქნება. ომი სისხლია, ომი სახიფათო გამოწვევაა, გაჩანაგებაა, მსხვერპლია. რუსეთის დიპლომატიას გონებრივი სიჯანსაღე ეყოფა.

ნუ ვიქნებით შიშით შეპყრობილები. ნურც მხოლოდ ევროპისა და ამერიკის მოიმედენი. ვიღაცის იმედად ყოფნა ჩვენს დამცირებას ნიშნავს. პლატონი ამბობდა, უპირველესი და უზენაესი სინათლეაო. ჩვენ წინ სამართლიანობის სინათლე მიგვიძღვის, რაც აუცილებლად წარმატებით დასრულდება, რაც გამორიცხავს სამეგრელოში სეპარატიზმის საშიშროებას.

გორის დავითაია,
პროზაიკოსი. აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.
ქ. სენაკი.

ⓞ ალიან-ჩალიანი

პარაფირებული დოკუმენტის თარგმნაზე მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებული დოკუმენტის სრულად თარგმნის გარდა, მისი ადაპტირებული ვარიანტის თარგმნაც მოხდება. ამის შესახებ ჟურნალისტებთან დღევანდელ შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა.

— დოკუმენტის პირველადი თარგმანი უკვე არსებობს, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა სიტყვა ზუსტ შესაბამისობაში იყოს მის იურიდიულ დატვირთვასთან და მნიშვნელობასთან. ამიტომაც, თარგმნის შემდეგ ის გადის რევიზიას, შესაბამისი ინტერუწყებათა ჯგუფის მიერ, რომელიც ახორციელებს თარგმნილი, 1000-გვერდიანი დოკუმენტის კიდევ ერთხელ შემოწმებას და დეტალების დაზუსტებას. ანალოგიური ამოცანის წინაშე დგანან ჩვენი ევროპელი პარტნიორები, რადგან ეს ყველაფერი 28 ქვეყნის 24 ოფიციალურ ენაზე უნდა „გამრავლდეს“. გარდა ამისა, იმისთვის, რომ ჟურნალისტებს, ექსპერტებს და დაინტერესებულ პირებს სხვა საქმისთვისაც გამოვუთავისუფლოთ დრო, 1000-გვერდიანი დოკუმენტის ძირითადი ნაწილი 200 გვერდამდე დავა და მოხდება შემჭიდროვებული ვარიანტის თარგმნაც, რომელშიც იქნება ასახული შეთანხმების ძირითადი ელემენტები, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

ინტერპრესი

◎ თარიღი

აღიარებული ხელმძღვანელი და სანიმუშო პიროვნება

ავთანდილ იაშვილი – 60

შესანიშნავ პიროვნებასა და ღირსეულ მამულიშვილზე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორზე, კავშირგაბმულობის დარგის ღვაწლმოსილ ადამიანზე ავთანდილ იაშვილზე ძნელია რაიმე ახლის თქმა და დაწერა. ყველა, ვინც მას იცნობს, ერთნაირი აზრისაა მასზე. ის გახლავთ უაღრესად კეთილშობილი და, კეთილმოსურნე, შრომაში თავდადებული, ძალზე თავმდაბალი და თანაც, უაღრესად პრინციპული, დიდი ნიჭითა და ინტელექტით დაჯილდოებული, თავისი ქვეყნისა და ხალხის მოსიყვარულე, ჭეშმარიტი პროფესიონალი, საუცხოო მეგობარი, მოქალაქე, პატრიოტი და, რაც მთავარია, დიდი ქართული ოჯახის საამაყო თავკაცი.

ავთანდილ იაშვილი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების დიდ გზაზე სულიერი და გონებრივი შემართებით იხედებოდა წარსულისაკენ, აღიქვამდა აწმყოს და ჭვრეტდა მომავალს. ქ. მოსკოვის საკავშირო კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დამთავრებიდან მუდამ პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა. გარკვეული პერიოდით, სრულიად ახალგაზრდა იყო ქ. თბილისის ცენტრალური რაიონის სატელეფონო კვანძის უფროსიც. სულ მალე კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ მასში დაინახა თავკაცისთვის დამახასიათებელი უაღრესად კარგი თვისებები და გადაიყვანა სამინისტროს აპარატში ქალაქისა და სოფლის სატელეფონო კავშირის სამართველოს უფროსის მოადგილედ, შემდგომ – უფროსად. სამინისტროს სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ავთანდილ იაშვილი ინიშნება დარგის ერთადერთი უდიდესი მმართველობითი ორგანოს „ელექტროკავშირის“ გენერალურ დირექტორად, სადაც გაერთიანებული იყო სისტემის თითქმის ყველა ტექნიკური დარგი.

ავთანდილ იაშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, დარგში გატარებული რადიკალური ღონისძიებების, სტრუქტურული ცვლილებების, საკუთრების სხვადასხვა ფორმების დამკვიდრების, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის, სრულიად ახალი ფორმის სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შექმნის საქმეში, რამაც უდიდესი გავლენა იქონია კავშირგაბმულობის საშუალებათა მუშაობის გაუმჯობესებაზე, ეფექტიანობის ამაღლებაზე. მოხდა დარგის დემონოპოლიზაცია, სადაც კერძო იურისდიქციაში მყოფი საწარმოები შეეჯიბრნენ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რაც კონკრეტული წინსვლის საფუძველი გახდა ორივე მხარისა და, საერთოდ, ქვეყნისათვის.

ავთანდილ იაშვილისა და მის გვერდით მყოფი პარტნიორების ინიციატივით შეიქმნა რამდენიმე მძლავრი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და არასახელმწიფო ორგანიზაცია, რაც იმ პერიოდისათვის არც ისე ადვილი საქმე იყო, მაგრამ დაუღალავმა შრომამ და სწორმა მიდგომებმა შედეგი გამოიღო და დღეს გვაქვს ქვეყანაში აღიარებული მთელი რიგი მძლავრი კავშირგაბმულობის კომპანიები. მათ შორისაა „ახალი ქსელები“, რომლის მართვასა და ორგანიზებაში ავთანდილ იაშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის.

დიდია მისი დამსახურება ათასობით ადამიანის დასაქმების მხრივ. წლების მანძილზე იგი ეწეოდა და დღესაც ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. მის სახელს უკავშირდება ვანის რაიონში მაცხოვრის სახელობის ტაძრის აგება. სათანადო შემწეობა აქვს გაღებული ვანის რაიონში საკათედრო ტაძრის აშენებაში, მუსიკალური თეატრის აღდგენაში და სხვა.

კავშირგაბმულობის დარგში გაწეული დიდი დამსახურების გამო ავთანდილ იაშვილი არჩეულია კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად. დაჯილდოებულია რამდენიმე ორდენითა და მედლით. მათ შორის ღირსების ორდენით.

ავთანდილ იაშვილმა თესა სიკეთე, კაცობა, ადამიანობა, სიყვარული, ერთგულება, საქმისადმი თავდადება, რაც უხვად მოიმკა კიდეც. კავშირგაბმულობის მრავალათასიან კოლექტივში და არამარტო კავშირგაბმულობის, არამედ ქვეყნის საზოგადოებაში მან დაიმკვიდრა პროფესიონალი ხელმძღვანელის, გამოცდილი და აღიარებული სანიმუშო პიროვნების სახელი.

ვულოცავთ ავთანდილ იაშვილს დაბადებიდან 60 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას საყვარელ დიდ ოჯახთან ერთად.

უახლოესი მეგობრები –

ფრიდონ ინჯია, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ღოღობერიძე, მამია სულაბერიძე, თეიმურაზ ბერუაშვილი, პავლე გიორგობიანი, ნოდარ ჯიძია, გენადი შეროზია, რეზო სახოკია, დემურ ინჯია, რემი გველესიანი, თორნიკე აფაძიძე, შოთა კოღუაშვილი, ვახტანგ ამაშუკელი, ზაზა ბურჯანაძე, ზურაბ ხუნტუა, ნუგზარ კვიკვინია, კოტე სამუშია.

◎ ალიან-ჩალიანი

ლეიკემიით დაავადებული ბავშვები საკრებულოს დახმარებას საჭიროებენ

იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკის სამედიცინო დირექტორმა თამთა დემურიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ იგი საკრებულოს ორი ინიციატივით მიმართავს. კერძოდ, 2014 წლის თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სტაციონარში ყოფნის პერიოდში კვების ხარჯები.

მეორე ინიციატივა, რომლითაც იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკის სამედიცინო დირექტორი გამოდის, მოზარდებში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსებაა, რომელიც ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად მნიშვნელოვანია.

თამთა დემურიშვილმა აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს 30-მდე ლეიკემიით დაავადებული ბავშვის მკურნალობას და 9 თვის განმავლობაში კლინიკაში დაყოვნების ხარჯებს. ამ პროგრამის ბიუჯეტი 1,2 მილიონი ლარია, თუმცა, პროგრამა არ ითვალისწინებს სტაციონარში ბავშვის ყოფნის კვების თანხას. თამთა დემურიშვილმა აღნიშნა, რომ სოციალურად დიფერენცირებული ბავშვებისათვის ამას მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კვება სტაციონარში საკუთარი თანხებით უნდა შეძლო.

დემურიშვილის განცხადებით, საკრებულოს წევრები იაშვილის კლინიკაში იმყოფებოდნენ, მოინახულეს ლეიკემიით დაავადებული ბავშვები, რა დროსაც საავადმყოფომ საკრებულოს წევრებს მიმართა მოხდეს ამ თანხების ბიუჯეტში გათვალისწინება.

თამთა დემურიშვილმა აღნიშნა, რომ 5 თვის წინ ჯანდაცვის სამინისტრომ გადადგა ამ მხრივ ნაბიჯი და ევროპის კლინიკებში აფინანსებს ოპერაციებს ონკოჰემატოლოგიით დაავადებული ბავშვებისათვის. თუმცა, მოზრდილებში ეს არ ხდება.

მისი თქმით, ყოველწლიურად საქართველოში ლეიკემიით დაავადების 50 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. დღეისთვის ონკოჰემატოლოგიის ცენტრში 30 ბავშვი იმყოფება. მათ ყოველდღიურ კვებას 8-10 ლარი სჭირდება. წელიწადში დაახლოებით ბავშვების სტაციონარში კვებისთვის 100 000 ლარია საჭირო. რაც შეეხება ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის თანადაფინანსებას, დემურიშვილმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ მოზარდებში წელიწადში 20-30 შემთხვევა ფიქსირდება. ძვლის ტვინის დონორის არსებობის შემთხვევაში ოპერაციის ხარჯები 150 000 ევროს შეადგენს და საჭიროა რაღაც პროცენტული ოდენობით ოპერაციისათვის ხარჯები სახელმწიფომ გამოყოს.

ინტერპრესი

◎ კრიმინალი

ყალბი მობილური ტელეფონები საქართველოსთვის?

გერმანიაში გამომავალი გაზეთი „შტუტგარტერ ნახრიხტენი“ იტყობინება, რომ მებაჟეებმა მიაკვლიეს და გაანადგურეს „სმარტფონების“, „სამსუნგ გალაქსის“ ბოლო, „ეს-4“ ვერსიის ყალბი აპარატები. ჩვენი რედაქციის ყურადღება მიიქცია ინფორმაციამ, რომ 150 ათასი ევროს ღირებულების ტვირთი, რომელიც მოდიოდა ჰონკონგიდან, **საქართველოში უნდა გაგზავნილიყო.**

მებაჟეებმა სიფხიზლე გამოიჩინეს და ეჭვი მიიტანეს ჰონკონგიდან საჰაერო გზით შტუტგარტის აეროპორტში ჩატანილ გზავნილზე, რომელსაც უკვე სახმელეთო საშუალებით საქართველოსკენ უნდა გაეგრძელებინა გზა. ამ ფაქტმა, რომ უცნაური იყო შემოვლითი გზით საქართველოში ტვირთის გაგზავნა, და კიდევ იმან, რომ ტვირთის დეკლარაციაში შეტანილი იყო 2000 დოლარის საფასურის მხოლოდ კაბელები, ეჭვი აღუძრა მებაჟეებს. მათ გახსნეს ყუთები და კაბელების ნაცვლად ნახეს „სმარტფონები“. ჩვენ შტუტგარტის აეროპორტის მთავარ საბაჟო სამსახურს დავუკავშირდით, რომლის პრესმდივანმა თომას ზეემანმა, საქმის ვითარება განგვიმარტა:

„ტვირთი, შტუტგარტის გავლით, საქართველოში უნდა გაგზავნილიყო. ტვირთის შემოწმებისას, იმ ეჭვის საფუძველზე, ყალბი ხომ არ იყო „სმარტფონები“, ჩემმა კოლეგებმა ნიმუში გაუგზავნეს „სამსუნგს“. „სამსუნგმა“ ოფიციალურად დაგვიდასტურა, რომ საქმე გვქონდა ყალბ საქონელთან. ამიტომ 250 ცალი მობილური ტელეფონი, რომელთა საერთო ღირებულება, ორიგინალური საქონლის შემთხვევაში, 150 ათასი ევრო იქნებოდა, მოისპო და განადგურდა“.

– რა ამტკიცებს, რომ საქონელი საქართველოში უნდა გაგზავნილიყო? – ვკითხეთ თომას ზეემანს, რომელიც აღიარებს, რომ არ არის აუცილებელი, საქონელი, მართლაც, საბუთებში მითითებულ ქვეყანაში ჩაეტანათ: **„საწარმომ, რომელმაც საქონელი შტუტგარტში გამოგზავნა, სატრანსპორტო ფირმას შეუკვეთა ტვირთის საქართველოში წაღება. ამ ეტაპზე ვიძიებთ იმას, მართლაც საქართველოში უნდა ჩაეტანათ საქონელი, თუ, ასე ვთქვათ, აქ, ევროპის ბაზარზე, ფარულად უნდა გაესაღებინათ. ასე რომ, ჯერ არ არის დასაბუთებული, რომ ტვირთი, მართლაც, საქართველოში მიდიოდა“.**

ჩვენ დავუკავშირდით საქართველოში შემოსავლების სამსახურს, რომელიც საბაჟო სფეროს მოიცავს, და შტუტგარტში ყალბი „სმარტფონების“ მიკვლევის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსს ხატია მოისწრაფიშვილს. მისი თქმით, ინფორმაცია ამ ფაქტზე უწყებას არა აქვს და თუ შტუტგარტში ხდება დარღვევა, ეს საქართველოს საბაჟო უწყების კომპეტენციას სცილდება. რადგან ფაქტი გერმანიაში მოხდა, მისი შეფასება იმ ქვეყნის კანონმდებლობის საქმეა. ხატია მოისწრაფიშვილის თანახმად, ისიც გამოსაკვლევია, საქართველო იყო თუ არა დეკლარაციაში მითითებული და ესეც, ცხადია, გერმანიის კანონის მიხედვით, იქ უნდა გაირკვეს.

– რას ნიშნავს განადგურება? – ვკითხეთ შტუტგარტელ მებაჟეს.

„საქონელს ვანადგურებთ ხოლმე ამ პროდუქტზე სამართლებრივი უფლების მქონის - ამ შემთხვევაში, „სამსუნგის“ დაკვეთით, – გვითხრა მან. **– ვირჩევთ განადგურების მარტივ, იაფ საშუალებას. 250 „სმარტფონის“ გასანადგურებლად ჩაქუჩი ვიხმარეთ. როცა საქმე გაყალბებულ მაჯის საათებს ეხება, ასფალტის სატკეპნს ვიყენებთ. შარშან საბაჟოს ხელში ჩაუვარდა უკანონოდ შეკერილი სპორტული ფეხსაცმლით სავსე ორი საზღვაო კონტეინერი. მათ, ცხადია, ხელით ვერ გავანადგურებდით. ამიტომ ფეხსაცმელი ჯერ დავაქუცმაცეთ, შემდეგ კი დავწვით“.**

– ხომ არ აჯობებდა, საქონლის, თუნდაც გაყალბებულის, უფრო გონივრულად გამოყენება – ვთქვათ, იმათთვის გადაცემა, ვისაც ხელი არ მიუწვდება ფეხსაცმელზე?

„საქმე ისაა, რომ საქონელზე ყველა უფლება ეკუთვნის ბრენდის მფლობელ კომპანიას. შეუძლებელია, ვინმემ გადაწყვიტოს, მოდი, სპორტული ფეხსაცმელი სოციალურად დაუცველ პირებს გადავცეთ საჩუქრადო. ამიტომ ბოლო საფეხური ამ საქონლის განადგურებაა“, – გვითხრა გერმანიის ქალაქ შტუტგარტის აეროპორტის საბაჟო სამსახურის წარმომადგენელმა თომას ზეემანმა, რომელმაც საუბრის ბოლოს აგვიხსნა, რომ **ახლა ეს შემთხვევა ევროპის საერთო სისტემაშია შენახული და მომავალში, თუ რომელიმე ტვირთის საბუთებში მსგავსი კომბინაცია ან სხვა, როგორც მებაჟეები ამბობენ, სარისკო პარამეტრები გამოჩნდა, – მაგალითად, იაფი კაბელები, – მაშინ ასეთ ტვირთს ყურადღებას მიაქცევენ და შეამოწმებენ. დასადგენი ისაა, იყო ეს ერთეული შემთხვევა, თუ მოქმედებს ყალბი პროდუქტის გასაღების კონკრეტული ქსელი.**

ოქროპირ რუხაძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისი არ არის წინააღმდეგი, გაუცვალოს მოსკოვს სავაჭრო წარმომადგენლები

საქართველოში იმედი აქვთ, რომ ეს საშუალებას მისცემს კიდევ მეტად გაზარდოს საქონელბრუნვა რუსეთთან

რუსეთ-საძართველოს ეკონომიკურ ურთიერთობათა გააქტიურება ახალ პერსპექტივებს ქმნის ორი ქვეყნის კონტაქტებისთვის, რომელთა შორისაც 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ შეწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობანი. საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ტყემალაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ განზრახული აქვს განიხილოს კოლეგებთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად საკითხი რუსეთის მხარესთან სავაჭრო წარმომადგენლების გაცვლის შესახებ, პროცესის უფრო მეტი ეფექტიანობისთვის.

ქართველმა ანალიტიკოსებმა შესთავაზეს ქვეყნის ახალ ხელისუფლებას განეხილა სავაჭრო წარმომადგენლობის საკითხი რუსეთთან ჯერ კიდევ 2012 წლის ბოლოს, პარლამენტის არჩევნებზე „ქართული ოცნების“ გამარჯვებიდან ცოტა ხნის შემდეგ. შეიძლება ამჟამად ეს უფრო აქტუალურიცაა. შარშან რუსეთმა გაუქმა ქართულ ალკოჰოლსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შვიდწლიანი ემბარგო. ამის შემდეგ სავაჭრო მიმოქცევა ორ ქვეყანას შორის გაიზარდა 50 პროცენტით, 780 მილიონ დოლარამდე. ამავე დროს, ექსპორტმა საქართველოდან შეადგინა 190 მილიონი დოლარი, იმპორტმა კი რუსეთიდან — 990 მილიონი. 2013 წლის შედეგების მიხედვით რუსეთის წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმოქცევაში გახდა 7,2 პროცენტი, რაც არის მეოთხე ადგილი თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის შემდეგ.

— სავაჭრო წარმომადგენლები აუცილებლად უნდა გაიცვალოს, — განუცხადა ჩვენს გაზეთს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ. **— რუსეთის ბაზარი ჩვენთვის პრიორიტეტული იყო. ამ ცოტა ხნის წინათ შევხვდი მეღვინეებს, რომლებმაც შარშან რუსეთს მიაწოდეს 20 მილიონ ბოთლზე მეტი ღვინო, რითაც ბევრად გადააჭარბეს პროგნოზებს. 2014 წელს არის გეგმები, როგორც მინიმუმი, ეს მაჩვენებელი გაორმაგდეს. სავაჭრო წარმომადგენლობა დაეხმარებოდა ჩვენს ბიზნესს გასაღების ახალ შესაძლებლობათა ძიებაში, დაიცვას ინტერესები. არსებობს პრაქტიკა, როდესაც ქვეყნებს შორის არ არის დიპლომატიური ურთიერთობანი, მაგრამ მუდმივი წარმომადგენლები მუშაობენ.**

ზურაბ ტყემალაძეს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც მთავარ დაბრკოლებად ურთიერთობათა აღდგენაში მიიჩნევენ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას, შეიძლება გაიხსნას წარმომადგენლობა არა ოფიციალურ სამთავრობო დონეზე, არამედ სავაჭრო-ეკონომიკური პალატების ან ბიზნესმენთა ასოციაციის მეშვეობით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ, რომელიც პრაღაში რეგულარულად ხვდება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს, ჩვენს გაზეთს უთხრა, რომ ამ მოლაპარაკების დროს ჯერჯერობით საკითხი სავაჭრო წარმომადგენლობათა გაცვლის შესახებ არ დასმულა.

— ვნახოთ, მთლიანად როგორ წავა ჩვენი მოლაპარაკების პროცესი, მაგრამ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, ჩვენ მზად ვართ კონსტრუქციული ურთიერთობისთვის, გამოუყენებელი რეზერვები ჯერ კიდევ ბევრია, — აღნიშნა დიპლომატმა.

შემდეგი შეხვედრა ამ ფორმატში მარტის დასაწყისში გაიმართება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 5 თებერვალს ბრიუსელში მოაწყო შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან ანდერს ფოგ რასმუსენთან. ამ კვირის დასაწყისში საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი მიიღეს ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბარუზომ და ევროსაბჭოს ხელმძღვანელმა ჰერმან ვან რომპეიმ. ევროპელმა ხელმძღვანელებმა გამოთქვეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და დასავლეთისკენ მისი მისწრაფების მხარდაჭერა, ამავე დროს, ევროპელმა ხელმძღვანელებმა ხაზგასმით დაუჭირეს მხარი თბილისის დიალოგს მოსკოვთან და რეკომენდაცია მისცეს გააგრძელოს იგი რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელი ოლიმპიადაზე ოფიციალურად არ იქნება მიწვეული

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გვპირდება მიიღოს „შესაბამისი ზომები“ მოსკოვის მხრიდან „სიურპრიზების“ შემთხვევაში

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ ოლიმპიადაზე სოჭში ოფიციალურად მიწვეული არიან მხოლოდ იმ სახელმწიფოთა სპორტსმენები და წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ ოლიმპიურ თამაშებში. შესაბამისად, ოფიციალური მოწვევა არ გაუგზავნეს სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელს ლეონიდ თიბილოვს და იმ შემთხვევაში, თუ თიბილოვი ჩავა სოჭში, იქნება როგორც კერძო პირი. ამის შესახებ სპეციალურ ბრიფინგზე 5 თებერვალს განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ.

„ოლიმპიური კომიტეტისა და რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების ეს კომენტარები მეტად მნიშვნელოვანი გზავნილია და დადასტურება იმისა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ — სწორია. სამწუხაროდ, არალეგიტიმური რეჟიმის პრესსამსახურის განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელი ლეონიდ თიბილოვი ოფიციალურადაა მიწვეული ოლიმპიადაზე სოჭში, უკიდურესად ემოციურად აღიქვა ჩვენი პოლიტიკოსების ერთერთმა ნაწილმა, რომლებმაც, გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გააკეთეს მეტად ნაჩქარევი და მოუფიქრებელი განცხადებები“, — აღნიშნა აბაშიძემ, როდესაც კომენტარს უკეთებდა აჟიოტაჟს, რაც საქართველოში ამ ინფორმაციამ გამოიწვია.

წინა ისტორია

სამხრეთ ოსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობამ დამატებითი საბაბი მისცა ოპოზიციას, აგრეთვე საზოგადოებრიობის ნაწილს, ხელისუფლების გადაწყვეტილების კრიტიკისთვის სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთთან დაწყებული დიალოგის ფონზე საქართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ შეცვალა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის გადაწყვეტილება თამაშების ბოიკოტის შესახებ, რუსეთის მხრიდან ზოგიერთმა მოქმედებამ წარმოშვა ახალი ეჭვები საქართველოს საზოგადოებრიობაში...

პრემიერის პოზიცია

დადასტურების შემთხვევაში, ინფორმაცია სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელის ოფიციალური მიწვევის შესახებ ოლიმპიადაზე, შეიძლებოდა გამხდარიყო ასეთი „პროვოკაცია“. 4 თებერვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ თავის დროზე მიღებული გადაწყვეტილება თამაშების ბოიკოტის გაუქმების შესახებ იყო „საკმაოდ რთული“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი შეეცდება გამოიყენოს ოლიმპიადა საქართველოდან გამოყოფილი რეგიონების სტატუსის ამაღლებისთვის და შემოგვთავაზებს „ახალ სიურპრიზებს“, თბილისი „მიიღებს შესაბამის ზომებს“. ამავე დროს, 5 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილში ქართველი ოლიმპიელებისადმი ღარიბაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „არ შეიძლება სპორტის პოლიტიზება“...

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად მოსკოვმა 2008 წელს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. დღეისთვის, რუსეთის გარდა, მათს დამოუკიდებლობას აღიარებენ ნიკარაგუა, ვენესუელა, ნაურუ და ტუვალუ. სხვა სახელმწიფოები მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს. მიუხედავად რუსეთთან ურთიერთობის შედარებითი „დათბობისა“ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, თბილისი აცხადებს, რომ არ შეუძლია აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობანი რუსეთთან, სანამ მოსკოვი არ გაიწვევს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. მოსკოვი, თავის მხრივ, აცხადებს ასეთი მიდგომის „კონპროდუქტიულობას“ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.

„რა მნიშვნელობა აქვს“

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელი და საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სააკაშვილის მთავრობის დროს სერგი კაპანაძე არ ანიჭებს მნიშვნელობას იმას, იქნებიან თუ არა მიწვეული სოჭში საქართველოდან გამოყოფილი რეგიონების ლიდერები, როგორც ოფიციალური წარმომადგენლები ანდა, როგორც კერძო პირები, ვინაიდან, მისი აზრით, საქმე ისაა, რომ ისინი, სულერთია, იქ იქნებიან სხვადასხვა ღონისძიებაზე, როგორც „სეპარატისტული მთავრობების“ წარმომადგენლები.

„რა მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ მოხვდებიან ისინი სოჭში? ოფიციალური თუ არაოფიციალური მიწვევით? მთავარია, რომ ისინი დაესწრებიან იმავე ღონისძიებებს, რასაც სხვა პოლიტიკოსები და იქ იქნებიან წარმოდგენილები, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები“ — აღნიშნა კაპანაძემ ჩვენთან ინტერვიუში.

ექსპერტი ასევე აღნიშნავს, რომ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის სპორტულ გუნდებს არ შეუძლიათ წარმოადგინონ შეჯიბრებებზე გამოყოფილი რეგიონები მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არ არიან ოლიმპიური კომიტეტის წევრები, რომელიც აღიარებს საქართველოს მთლიანობას.

„ის ფაქტი, რომ აფხაზი და სამხრეთოსეთელი სპორტსმენები არ გამოდიან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ზოგჯერ წარმოდგენილია, როგორც რუსეთის ერთგვარი დამსახურება, სინამდვილეში ეს ასე არ არის. მიზეზი ისაა, რომ ისინი საერთოდ არ არიან წარმოდგენილი ოლიმპიურ კომიტეტში“, — განმარტა სერგი კაპანაძემ.

„ქარგი გადაწყვეტილება“

საქართველოს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის პროფესორი თორნიკე შარაშენიძე ეთანხმება იმას, რომ თბილისისთვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა: როგორ აღმოჩნდებიან სეპარატისტული რეგიონების ლიდერები სოჭში. ის მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე, მიუხედავად ყოველგვარი „სიურპრიზისა“ რუსეთის მხრიდან, საქართველოს ხელმძღვანელობას უკვე აღარ შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება საქართველოს მონაწილეობის შესახებ ოლიმპიადაში.

ამავე დროს, პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება, მიიღოს მონაწილეობა თამაშებში, იყო სწორი. **„ეს გადაწყვეტილება ხელს უწყობს დაძაბულობის შემცირებას ურთიერთობებში. რასაკვირველია, შედეგად რუსეთი არ დაგვიბრუნებს ჩვენს ტერიტორიებს, მაგრამ რიტორიკისა და ანტიქართული პროპაგანდის შერბილებაში ეს შეასრულებს გარკვეულ პოზიტიურ როლს“,** — მიაჩნია შარაშენიძეს.

დედამიწის ზურგზე

ყირიმის პარლამენტი აპირებს სთხოვოს რუსეთს დაიცვას ნახევარკუნძულის ავტონომიის სტატუსი

დეპუტატმა ვლადიმირ კრიჩნიკოვმა განუმარტა ჟურნალისტებს, რომ „საკითხი შეეხება პოლიტიკურ დახმარებას, არავინ თამაშობს სამხედრო თამაშებს“. ქვეყანაში დაძაბულობის ვითარების გამო პარლამენტარებმა შესაძლებლად მიიჩნიეს სთხოვონ რუსეთის ხელისუფლებას, დაიცვას „მოსახლეობის იმ ნაწილის უფლებები და თავისუფლებები, რომელიც მხარს არ უჭერს ევროინტეგრაციას“.

* * *

არმია იმტკიცებს ხელისუფლებას ეგვიპტეში. თავდაცვის მინისტრმა დაადასტურა, რომ მიდის პრეზიდენტობაზე

„საკითხი გადაწყვეტილია. მე სხვა არჩევანი არ გამაჩნია, გარდა იმისა, რომ გამოვეხმაურო ეგვიპტელი ხალხის თხოვნას. მე მას ამაზე უარს არ ვეტყვი“, — განაცხადა აბდელ ფატახ ას-სისიმ კუვეიტის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში. გამარჯვების შემთხვევაში (მას კი აშკარა ფავორიტად მიიჩნევენ) ას-სისი გახდება უკვე მეექვსე მაღალი რანგის სამხედრო ეგვიპტის სათავეში. ერთადერთ სამოქალაქო მმართველად იყო მოჰამედ მურსი, მაგრამ ისიც საბოლოოდ სამხედროებმა გადააყენეს.

* * *

ორასმა მწერალმა სთხოვა რუსეთის ხელისუფლებას შეწყვიტოს სიტყვის თავისუფლების მოხრჩობა

მწერლებმა და პუბლიცისტებმა, რომელთა შორისაც სამი ნობელის პრემიის ლაურეატია ლიტერატურაში, გამოთქვეს აზრი რუსეთის კანონების წინააღმდეგ გეი-პროპაგანდის აკრძალვისა და მორწმუნეთა გრძნობების დაცვის შესახებ, აგრეთვე ნეგატიურად შეაფასეს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში ცილისწამების შესახებ მუხლის დაბრუნება.

* * *

ინდოეთმა გაამარტივა სავიზო რეჟიმი რუსეთის და კიდევ 179 ქვეყნის მოქალაქეებისთვის

სავიზო სისტემის ლიბერალიზაცია მოიწონეს ქვეყნის სპეციალურმა სამსახურებმა. სისტემა ამუშავდება მომავალი ტურისტული სეზონიდან — 2014 წლის ოქტომბერში. ტურისტებს ვიზები მიეცემა აეროპორტში. ჯერჯერობით ასეთი პრივილეგიით სარგებლობენ მხოლოდ 11 ქვეყნის მოქალაქეები.

„მხედრიონი“ — ბოროტების მხედრობა

მძიმედ დაიჭრნენ სახელმწიფო მეთაურის პირადი დაცვის თანამშრომელი გ. ბოგვერაძე და პირადი ექიმი შ. ბოხუა, სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღო 14 კაცმა.

თეთრი „ნივისგან“ თითქმის არაფერი დარჩა. მისი ერთი ნაწილი გადაღმა, მესხიას ქუჩაზე, ეზოში იპოვეს...

აფეთქებას, ყველაფერთან ერთად, დიდი მატერიალური ზარალიც მოჰყვა: დაზიანდა პარლამენტისა და საქალაქთაშორისო რესპუბლიკური ცენტრის შენობები, რუსთაველის პროსპექტზე, მესხიას, ქუთათელაძის, კვალისა და თაბუკაშვილის ქუჩებზე განლაგებული ბინები. საერთო ზარალმა 220 ათას ლარს გადააჭარბა.

...აფეთქების შემდეგ გიგა გელაშვილი იმავე „ვაზ-2107“-ით მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

მაგრამ კვალს უკვე მიჰყვებოდა გამოძიება.

იმავე დღესვე იქმნება საგამოძიებო ჯგუფი, რომელშიც შედის პროკურატურისა და პოლიციის 86 მუშაკი. მეორე დღეს ამ ჯგუფს კიდევ 108 კაცი ემატება.

იმავე დღეს, მომხდარიდან ორიოდ საათის შემდეგ, პროკურატურა უკვე ჩხრეკდა პარლამენტის შენობას, მათ შორის — ჯაბა იოსელიანის სამუშაო ოთახებს.

პარლამენტის შენობის ჩხრეკის პირველ დღეს (იმავე, 29 აგვისტოს) ოქმის ენით რომ ვთქვათ, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე საინტერესო არ მოუცია.

„რაიმე საინტერესო“ 30 აგვისტოს აღმოჩნდა.

გამომძიებელი გივი ჯანიაშვილი პარლამენტის წევრის ჯაბა იოსელიანის მისაღებ, სამუშაო და მოსასვენებელ ოთახებს ჩხრეკს.

სამუშაო ოთახში საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღეს პისტოლეტი „ბერეტა“ ერთი მჭიდით და 10 ვაზნით.

მოსასვენებელი ოთახის სეიფი ნარკოტიკული ნივთიერებების ნამდვილი საკუჭნაო აღმოჩნდა: 81 ამპულა ინდური წარმოების „ნორფინი“, 68 უეტიკეტო ამპულა, 5 შეკვრა „კოდეინი“ (თითო შეკვრაში 10-10-აბიანი 10 ფირფიტა)... ამას გარდა — 30 მილიონ 815 ათასი რუბლი სხვადასხვა კუპიურებით, 835 გირვანქა სტერლინგი და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი.

(სხვათა შორის, ამ თანხის ამბავს საინტერესო გაგრძელება აქვს. სამიოდ კვირის შემდეგ, როცა მაშველთა კორპუსის თავზე მოქუფრულ ღრუბლებში უკვე იკლაკნება ელვა და საცაა მეხიც გავარდება, ჯაბა იოსელიანი განცხადებით მიმართავს პროკურატურას, იმ 30 მილიონი რუბლიდან 18 მილიონი ჩემია, დანარჩენი 12 მილიონი რუბლი და სტერლინგები შემოწირულობის სახით არის შეგროვილი დაღუპული მხედრიონელების საფლავების მოსაწყობად, ფული დაგვიბრუნეთ, რადგან ძალიან გვჭირდებაო). ადრე უჩვენებდნენ, მთლიანად შემოწირულიაო. ახლა, თურმე ნაწილი პირადად ჯ. იოსელიანის ყოფილა.

არ დაუბრუნეს, ძიებამ ვერ დაადგინა, საიდან და ვისგან იყო შემოწირული, ან საერთოდ, შემოწირული იყო თუ არა...).

მისაღებ ოთახში გამოფენილი იარაღებიდან ყურადღებას იქცევდა „მაუზერი“ და „სმიტ-ვესონი“.

შემდეგ მოვლენები უკვე დაჩქარებული ტემპით წარიმართა.

31 აგვისტოს პარლამენტის შენობის სარდაფში — მაშველთა კორპუსის („მხედრიონის“) საწყობში — მთელ არსენალს მიაკვლიეს: 3 ყუთი მ-6 ტიპის ამფეთქი (სულ 46 ცალი), 17 ცალი ამფეთქი დეტონატორი, 1 ცალი ტროტილის კოჭა, 10 ცალი ამონალი, ორი ყუთი „კალაშნიკოვის“ ვაზნა.

1 სექტემბერს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის შენობის მესამე სართულზე, რომელიც ჯ. იოსელიანის აპარატს ეკავა, №322-ა ოთახში ახალი აღმოჩენა მოხდა: ნაღმტყორცნის 65 უმუხტო და 17 მუხტიანი ჭურვი, ყუმბარმტყორცნი, ნაღმტყორცნი, ავტომატის უამრავი ვაზნა, რადიოსადგური, 2 ტყვიამფრქვევი...

13 სექტემბერს, როცა გაიხსნა ადრე დალუქული ჯ. იოსელიანის აპარატის ნაწილი, №322 ოთახში ნახეს: ხელის ტყვიამფრქვევი, ტყვიამფრქვევის, ავტომატისა და შაშხანის ვაზნებით სავსე ათობით ყუთი, ხელყუმბარები, შორი მანძილის საზომი, დასატენი ხელსაწყო, 4 ცალი გადამცემი, საველე ტელეფონები, კომუტატორი, ლითონის საძებნი ხელსაწყო... 3 ცალი ელექტროშოკი...

ელექტროშოკის მოწყობილობა თავისი დასატენით აღმოჩნდა უშუალოდ ჯაბას ოთახშიც, იატაკზე დადგმული ლარნაკის სიახლოვეს, რომელსაც გულისამაჩუყებელი წარწერა ჰქონდა: „ბატონ ჯაბას — ზუგდიდელებისგან. 1994 წლის მარტი“.

მაგრამ აქ შევჩერდეთ, ესეც საკმარისია. ნუღა გავაგრძელებთ ამოღებული ტყვია-წამლისა და იარაღის აღნუსხვას.

გამოძიებას უკვე 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს მოკვლევის შემდეგ გუჩნდა ეჭვი.

კვალი მაშველთა კორპუსისკენ მიდიოდა.

სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 4 მაისის ბრძანებულებით, მაშველთა კორპუსის რაზმეულებს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ და იგი ნებაყოფლობით უნდა ჩაებარებინათ.

მაშველთა კორპუსმა გამოაცხადა კიდეც, რომ ყველაფერი ჩააბარა.

არადა, თვით პარლამენტის შენობა აღმოჩნდა იარაღით გაძეძგილი. საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე რევაზ ყიფიანი:

— პარლამენტის შენობაში დიდძალი იარაღის აღმოჩენამ დაბადა ეჭვი — იქ ხომ არ არის ის კაცი, ვინც ტერაქტში მონაწილეობდა? პირდაპირ გეტყვით: ეჭვი გაგვიჩნდა მხედრიონელებზე და კაბინეტებში ნარკოტიკების მიკვლევამ ჯაბასა და მისი ხალხის მონაწილეობის ეჭვი უფრო გაგვიღრმავა. რა თქმა უნდა, მარტო იარაღისა და ნარკოტიკების აღმოჩენა არ კმაროდა ტერაქტში მონაწილეობის დასადასტურებლად. ეს თანდათან მოხდა.

მაშველთა კორპუსისკენ სხვა კვალიც მიდიოდა.

თუმცა, კვალი კი არა — სისხლის სამართლის ათობით კონკრეტული საქმე.

ამ აფეთქებამდე ხუთიოდ დღით ადრე — 24 აგვისტოს განახლდა წინასწარი გამოძიება რუსთავის 3 მარტის ამბების გამო. 25 აგვისტოს ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურამ დადგენილება გამოიტანა გიგა გელაშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარ პატიმრობის შეფარდების შესახებ.

2 სექტემბერს ასეთივე დადგენილება გამოიტანეს თემურ ხაჩიშვილის მიმართაც.

2 სექტემბერს ორივე დააპატიმრეს.

2 სექტემბერს პროკურატურამ მიიღო დადგენილება გ. გელაშვილისა და თ. ხაჩიშვილის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რადგან:

ჩაიდინეს — სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რასაც ახლდა ძალადობა, იარაღის გამოყენება და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედება;

ჩაიდინეს — ჯგუფური მოქმედების ორგანიზება და მასში აქტიური მონაწილეობა, რამაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რაც დაკავშირებული იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონიერი მოთხოვნების აშკარა დაუმორჩილებლობასთან, რასაც ტრანსპორტისა და ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება მოჰყვა;

ჩაიდინეს — ბოროტი ხულიგნობა, რამაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა აშკარა უპატივცემულობა საზოგადოებისადმი, რაც თავისი შინაარსით გამოირჩეოდა ცინიზმითა და განსაკუთრებული თავხედობით, რაც დაკავშირებული იყო ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთათვის წინააღმდეგობის გაწევასთან.

თ. ხაჩიშვილმა დაპატიმრების უმალ განაცხადა, ჩვენებას არ მოგცემთ, არავითარ დაკითხვის ოქმზე ხელს არ მოვაწერ, რადგან უდანაშაულო ვარო.

იგი, ალბათ, მშვენივრად ხვდებოდა, რომ ცა საეჭვოდ, საშიშად იღრუბლებოდა, რომ რუსთავის ფაქტთან დაკავშირებით დაპატიმრება მხოლოდ დასაწყისი შეიძლება ყოფილიყო და მალე სხვა შეკითხვებსაც დაუსვამდნენ.

ასეთ ვითარებაში მისთვის თითქოს მომგებიანი იყო შემტევი პოზიციის დაკავება, მტკიცე პროტესტის გამოცხადება, პოლიტიკური დევნილის მსხვერპლად წარმოჩენა.

მაგრამ ეს მხოლოდ დროებით, დროებით!

გიგა გელაშვილი კი სხვა გზით წავიდა. მაშინვე აღიარა, დამნაშავე ვარ, რაც 3 მარტს მოხდა არავითარი გამართლება არა აქვს, ვგმობ ამ საქციელსო.

კეთილი და პატიოსანი, როგორც იტყვიან, გულწრფელი აღიარება ამსუბუქებს სასჯელს.

ოღონდ: ეს აღიარება გულწრფელია მხოლოდ იმის აღიარებით, რაც თავისთავად, უღიარებლადაც ცნობილი იყო.

ეს აღიარება თავისთავად შეიძლება ფასეულია მომხდარის დაგმობითა და ჩადენილის გამო სინანულითაც.

მაგრამ ეს აღიარება აშკარად საეჭვო იყო იმით, რომ მეტისმეტად დაბეჯითებით ცდილობდა თავის თავზე აეღო მთელი პასუხისმგებლობა:

„3 მარტს პარლამენტის შენობაში ჯაბა იოსელიანის სანახავად მისულმა, გავიგე, რომ მარნეულში პოლიცია თავს დასხმია ჩვენს შტაბს, ბიჭები დაუჭერია და იარაღი წაურთმევია. შევედი ჯ. იოსელიანთან და ეს ამბავი ვაცნობე. მითხრა, ჩავსულიყავი რუსთავში, მენახა ლ. მამალაძე და მასთან გავრკვეულიყავი, რა მდგომარეობა იყო მათ რეგიონში. მას ჩემთვის არ უთქვამს, რომ წამეყვანა ხალხი, მით უმეტეს შეიარაღებული პირები და ჩაგვეტარებინა რაღაც დამსჯელი ოპერაცია, რაც, ფაქტობრივად, მოხდა რუსთავში. მსგავსი მითითება და მინიშნებაც კი არ ყოფილა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ჯ. იოსელიანთან მივედი და მოვუყევი, რაც მოხდა რუსთავში. მან ძალიან მკაცრად მითხრა, ამაზე პასუხისმგებლობა მოგიწევსო“.

და ა. შ. და ა. შ.

თ. ხაჩიშვილივით, გიგა გელაშვილიც მშვენივრად ხვდებოდა, რომ მისი, მაღალი ნომენკლატურული მუშაკის, აქამდე ხელშეუხებელი მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის, სახელმწიფოში ფაქტობრივად მეორე კაცის მარჯვენა ხელის დაპატიმრება, სწორედ ახლა, სწორედ 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის მეოთხე დღეს, არ იყო ოდენ რუსთავში მომხდარი მუშტი-კრივის გამოძახილი.

მან ხომ იცოდა ის, რაც ჯერ არ იცოდა (ან უკვე ეჭვად იცოდა) გამოძიებამ: ყველაფერი თავის შესახებ, იმ საქმეთა შესახებ, რაც მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა.

ამიტომ ირჩია ელიარებინა მცირედი, რათა დაეფარა უმთავრესი (უმთავრესები).

თანაც ყოველმხრივ დაეფარა პოლიციის ვარაუდებისგან ჯაბა იოსელიანი, რომლის ჩავარდნაც კატასტროფა იქნებოდა ყველა შეთქმულისთვის, იმისთვისაც, რა თქმა უნდა.

ამას გარდა, გიგა გელაშვილმა სხვა რამეც იცოდა.

პოლიციამ ივლისის შუა რიცხვებში მიაკვლია ბორჯომში 1994 წლის ნოემბერში დახოცილი ხუთი ადამიანის გვამს და დააპატიმრა მკვლელობაში ეჭვმიტანილნი და დაკითხვებზე უკვე იხსენიებოდა მისი სახელი, დღითი დღე სულ უფრო და უფრო დაჟინებით.

ამაში ის მართალი იყო. გამოძიებას უკვე ივლისშივე ჰქონდა დანაშაულში გ. გელაშვილის მონაწილეობის ვარაუდები. თუმცა, ისინი ჯერ არ იყო ისეთი უტყუარი, რომ მის საფუძველზე დაეპატიმრებინათ. აგვისტოს ბოლოსთვის კი ეს ვარაუდები განმტკიცდა.

და „ბორჯომმა“ ხელახლა წამოსწია „რუსთავი“.

ასე შეიკრა წრე.

უფრო სწორად ეს წრის პირველი კონტური იყო.

რადგან როგორც პარლამენტის შენობაში იარაღისა და ნარკოტიკების აღმოჩენა უტყუარად არ მიანიშნებდა 29 აგვისტოს ტერაქტში მაშველთა კორპუსის მონაწილეობას,

ისე, არც — რუსთავის 3 მარტის მოვლენებში მონაწილეობის აღიარება

და — ბორჯომში მოწყობილი ჟლეტის ორგანიზატორობის ბრალდება.

მხოლოდ ეჭვს ბადებდა.

ამ ეჭვს დადასტურება სჭირდებოდა.

ეს შემდეგ მოხდა, გამოძიების კვალდაკვალ.

დაკითხვებისას არა მარტო 29 აგვისტოს ტერაქტზე, არამედ სხვა საქმეებზეც მიიღეს აღიარებები. ასეთი რამ ხშირია: ერთ საქმეზე დაპატიმრებული კაცის ჩადენილი რამდენიმე დანაშაული აშკარავდება. როდესაც ერთ საქმეზე მტკიცებები მიიღეს, ისინი დანარჩენი საქმეების მონაწილენიც აღმოჩნდნენ.

ამ სისხლის სამართლის საქმეზე 14 კაცი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთ წაუყენეს ბრალდებები: სამშობლოს ღალატი, ბანდიტიზმი, განზრახ მკვლელობა...

ომერტა მაფიის მთავარი კანონი

ვენა, 1996 წლის 11 ივლისი.

ღამის ილუმინაციით გაჩირაღდნებული ხალხმრავალი ცენტრალური ქუჩა.

კაზინო „აუსტრიიდან“ წყვილი გამოვიდა და გეზი სასტუმრო „ზას ჰოტელისკენ“ აიღო.

...უეცრად კაცი უცნაურად შექანდა და მოწყვეტით დაეცა.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 12-25

◎ სტარტზეა ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშები

დღეს სოჭში 16-დღიანი მარათონი იწყება

როგორც იქნა, წერტილი დაესვა პოლიტიკური „პროსტიტუტკობით“ გაჯერებულ მოლოდინს – დღეს საქართველოს საზღვრის სიახლოვეს, ისტორიულად ერთ დროს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე თანამედროვეობის XXII ზამთრის ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალი მოეწყობა, რომლის პირდაპირ ტელერეპორტაჟსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი 20 საათიდან შემოგვთავაზებს.

მართალია, ჩვენი ქვეყნის 4-წევრიანი ნაკრების ქომაგებს მედლის მოპოვების ილუზია არ გვაწუხებს, მაგრამ როგორც სპორტის ყველა გულშემატკივარს, ვფიქრობთ, თქვენც დაგაინტერესებთ ოლიმპიური ობიექტების ნუსხა, რომელსაც სახეობების თანხლებით წარმოგიდგენთ.

მაშ ასე, ჯერ თამაშების პროგრამას გაგაცნობთ.

ბიატლონი, ბობსლეი, სამთო თხილამურები, კერლინგი, ჩრდილოური ორჭიდი, სათხილამურო რბოლები, ტრამპლინიდან ხტომა, ციგაობა, სკელეტონი, ფიგურული ციგურაობა, სნოუბორდი, ფიგურული სრიალი, ფრისტაილი, ჰოკეი, შორტ-ტრეკი.

რაც შეეხება მომავალი ბატალიების მასპინძელი ადგილების ჩამონათვალს, ისინი ორ ბლოკად არის განლაგებული და პოპულარული საკურორტო ქალაქის სხვადასხვა უბნებს მოიცავს.

ზღვისპირა ზოლი – ოლიმპიური პარკი

სტადიონი „ფიშტი“ (სწორედ იქ მოეწყობა ოლიმპიადის საზეიმო გახსნა და დახურვა),

დარბაზები „ბოლშოი“, „შაიბა“, „ადლერ არენა“, „აისბერგი“, „ყინულის კუბი“.

მთის ზოლი – კრასნაია პოლიანა

„ლაურა“ – კომპლექსი ბიატლონისა და სათხილამურო რბოლებისთვის;

„რუსსკიე გორკი“ – კომპლექსი ტრამპლინიდან ხტომისათვის;

„როზა ხუტორი“ – სამთოსათხილამურო ცენტრი და ექსტრიმ-პარკი.

„სანკი“ – საციგაო სპორტის ცენტრი.

ბეჟან დოლიძე



◎ კალათბურთი

ქართველმა 16-წლამდელებმა თურქულ ტურნირზე სლოვენია დაამარცხეს

საქართველოს 16-წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა თურქეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი მოიგო. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ქართველებმა საწყისი 2 წაგების შემდეგ მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს და თავის კვარტეტში III ადგილი დაიკავეს.

საქართველო სლოვენიის ნაკრებს შეხვდა, რომელთანაც მესამე მეოთხედის მიწურულს 22 ქულით აგებდა, თუმცა, საბოლოოდ მაინც იძალა – 85:81.

საქართველოს მსგავსად სლოვენიელებმა ჯგუფის პირველი 2 შეხვედრა წააგეს, გასულ მატჩში კი გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ ქართველებმა არ დაანებეს. კაზანჯიანის გუნდმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. მესამე მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთით ადრე სლოვენიელები 62:40 იგებდნენ და ალბათ ვერ წარმოიდგენდნენ, თუკი დამარცხდებოდნენ.

ქართველები წაგებას არ შეეგუენ და ბოლომდე იბრძოლეს. მესამე მეოთხედის დასრულებამდე ლადო ფურცხვანიძის, საბა აკობიას, გიორგი გვიანიძის და გიორგი ცხოვრებოვის შედეგიანობით მათ ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს - 56:65. გადამწყვეტ მეოთხედში ქართველებმა შედეგიანი თამაში განაგრძეს და მატჩის დასრულებამდე 4,30 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრეს – 73:73. ქართველთა აქტიური თამაშით თავბრუდახვეულმა სლოვენიელებმა ერთი კი გაიბრძოლეს, მაგრამ საბოლოოდ ვერას გახდნენ.

ქართველებში 16 ქულითა და 12 მოხსნით ლადო ფურცხვანიძე გამოირჩა, 17 ქულით კი ბომბარდირი საბა აკობია გახდა. 10-10 ქულა მიითვალეს ლუკა ბულაშვილმა და ლევან ბაბილოძემ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ფედერერის დასტური და ბერდიხის უარი

შვეიცარიის საჩოგბურთო ნაკრებმა დევისის თასის მერვედფინალში შარშანდელი გათამაშების ფინალისტს სერბეთს მოუგო და მეოთხედფინალში ყაზახეთს შეხვდება. ეს მატჩი 4-6 აპრილს ჟენევაში ან როჯერ ფედერერის მშობლიურ ქალაქ ბაზელში ჩატარდება.

დიდი სლემის ტურნირების სარეკორდო რაოდენობით მომგები ფედერერი ყაზახებთან სამომავლო დაპირისპირებას გამოეხმაურა და განაცხადა, ჩემ მეგობრებთან ერთად დევისის თასის მეოთხედფინალში აუცილებლად ვითამაშებო.

დევისის თასის მოქმედ ჩემპიონ ჩეხეთს კი იაპონიასთან სამეოთხედფინალე დაპირისპირების გამართვა ტომაშ ბერდიხის გარეშე მოუწევს. ამის თაობაზე ჩეხთა ლიდერმა ნაკრების კაპიტანს იაროსლავ ნავრატილს უკვე აცნობა.

„აქცენტი საკუთარ კარიერაზე უნდა გავაკეთო. ჩეხებს უჩემოდაც ძლიერი ნაკრები ეყოლებათ, მე კი ეროვნული გუნდის ღირსებას მხოლოდ საშინაო შეხვედრებში დავიცავ“, – განაცხადა ბერდიხმა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

გურამ კაშია: ეს საშინელება იყო

პოლანდიის ერედივიზიონის 22-ე ტურში „ალკმაართან“ საშინაო მარცხის (0:2) შემდეგ არნემის „ვიტესის“ კაპიტანმა გურამ კაშიამ FOX Sports-თან საუბარში განაცხადა, რომ მისმა გუნდმა პირველი ტაიმი საშინლად ჩაატარა. ქართველი მცველის აზრით, ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ზეწოლა, რაც ჩემპიონობისთვის ბრძოლითაა გამოწვეული, არაფერ შუაშია.

„ამას ზეწოლასთან არავითარი კავშირი არა აქვს. პირველ ნახევარში, უბრალოდ, საშინლად ვითამაშეთ. ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც გვსურდა და ცალკეული შეცდომები დავუშვით. პრობლემა ეს იყო და საკუთარ კარში გოლებიც მივიღეთ. მეორე ნახევარში გოლის გატანას შევეცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა“.

ზამთრის შესვენების შემდეგ „ვიტესმა“ ერთი თამაში მოიგო, ორჯერ ფრე ითამაშა და ერთხელ დამარცხდა, რაც სახარბიელო შედეგი არაა. ამის თაობაზე კაშიამ შემდეგი თქვა:

„სეზონის განმავლობაში მსგავსი რამ ზოგჯერ ხდება. ახლა ჩვენ უნდა ვიფიქროთ, ამ სიტუაციიდან როგორ გამოვიდეთ“.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ირინა შეიკი ოლიმპიადაზე რუსებს უქომაგებს

სოჭის ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადება დასრულდა. მოუწესრიგებელი სასტუმროებისა და უცნაური ტუალეტების შემდეგ ყურადღება იქ ჩამსვლელი ცნობილი ადამიანების მიმართაც გაორმაგდა. უკვე ვიცით, რომ ბევრი პოლიტიკოსი და შოუბიზნესის ვარსკვლავი, მიზეზთა გამო, სოჭში ჩასვლისგან თავს იკავებს, თუმცა ისეთებიც არიან, ვინც ამ ღონისძიებაზე დასწრებას თავის მოვალეობად მიიჩნევს. ერთ-ერი მათგანი კრიშტიანუ რონალდუს შეყვარებული და „ოქროს გოგონა,“ მოდელი ირინა შეიკია.

მოგეხსენებათ, შეიკის ნამდვილი გვარი შაიხლისლამოვაა. ის 28 წლის წინათ ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ ემანჟელინსკში დაიბადა მეშახტის ოჯახში. მამა – ვალერი, ეთნიკურად თათარი გახლდათ, დედა კი – რუსი. მისი ეგზოტიკური გარეგნობაც ამის შედეგია. ამჟამად ცნობილი მოდელი დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის მოქალაქეა. ამიტომაც არ არის გასაკვირი მისი საოლიმპიადე აქტიურობა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ინფორმაცია

საგარეჯოს რაიონში მკვლელობისთვის ორი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1988 წელს დაბადებული, წარსულში ორჯერ ნასამართლევი ზურაბ ტ. განზრახ მკვლელობის, ხოლო 1967 წელს დაბადებული, ასევე წარსულში ნასამართლევი ანდრია შ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით აიყვანეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზურაბ ტ-მ 2014 წლის 2 თებერ-

ვალს, ღამით, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში, ანდრია შ-ს საცხოვრებელ სახლში, 1971 წელს დაბადებულ თეონა ც-ს ურთიერთშელაპარაკებისას სხეულის დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თეონა ც. მიყენებული დაზიანებებისგან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. დანაშაულს შეესწრო ანდრია შ, რომელმაც მომხდარის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ზურაბ ტ. სოფელ სარფში, ხოლო ანდრია შ. თელავში დააკავეს. ზურაბ ტ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ინტერპრესი

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77;
599 32-85-76.

ეპიტაფია

ბედთან შეურიგებლობა, დროსთან ჭიდილი, ბრძოლა



ჟამმა ჩამოჰკრა ერთხელ კიდევ მწუხრის ზარს, ზარს მარტვილობისას, ავბედობასთან ბრძოლისას და სულის სიმძიმილით ძალუმად შეარხია გულთა სიმები. ერთგან წერდა:– „ბედმა უმძიმესი სატანჯველი მომკერძა – სიკვდილამდე ვატარო განგმირავი ხსოვნა შვილების – დათო და ვახტანგ კვარაცხელიების და ახლო ნათესავების მამაშვილი – ფელიქს და ლევან შენგელიებისა, რომელთა სიცოცხლე ერთდროულად შეიწირა ზღვამ“ და რინოს კვარაცხელიამ ბედისწერასთან შერკინება პოეზიად აქცია, შეუპოვრობის, ბრძოლის ჟინის მტკიცე ბასტიონად. „სევდის მწვერვალმა“ „ტკივილის აფრამ,“ „წრებრუნვამ“ ავტორს საყოველთაო აღიარება მოუპოვეს.

თავიდანვე გამოკვეთილად განისაზღვრა რინოს კვარაცხელიას პოეტური დვრიტა. უპირველესად ეს გაცხადდა სამშობლო ქვეყნის წმინდა სამსახურით. რინოს კვარაცხელიას წუთითაც არ ჩაუმუხლავს, წუთითაც არ გაუხედია განზე. ის მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის იბრძოდა, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში აჟღერებულ დაფ–ნაღარასათვის გულის მგზნებარებით ძალა და ხმიანება შეემატა და კიდევაც მისი ტრაგედია ორგანულად შეერწყა, შეესისხლხორცა საშინელ უბედურებას, რაც მაშინ დატრიალდა საქართველოში ქართველი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბძოლის გზაზე. უწმინდესი ერთგულებითა და თავდადებით კიდევაც ააშკარავებდა სამშობლოს მტრებს – მოღალატეებს, ორგულებს, გამყიდველებს, ფარისევლებს, მოძალადეებს, ძმათა მკვლელი ომის გამჩაღებლებს, მის მშობლიურ წალენჯიხაში რომ დაიწყო და შემდეგ მთელ სამეგრელოსა და საქართველოში გადაიზარდა. მისი პოეზია მოწოდებული იყო, რომ სამშობლო ქვეყნის ბედნიერებისათვის ბრძოლა ვერანაირმა წინააღმდეგობამ ვერ უნდა შეაჩეროს. ამისთვის ერთსულოვნება, მტკიცედ გაერთიანება, ერთად დგომაა საჭირო. ის თვალნათლივ მიანიშნებდა უმთავრეს საკითხებს: ქვეყნის აღმშენებლობას, განვითარებას, სამართლიანობის აღდგენასა და დამკვიდრებას.

რინოს კვარაცხელია, როგორც შემოქმედი და როგორც პატრიოტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მშობლიური კუთხის საკეთილდღეო საქმეებში, მასშტაბურ კულტურულ ღონისძიებებში. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მისი საქმიანობა წალენჯიხაში გამართულ ტერენტი გრანელის იუბილეზე, სახალხო დღესასწაულ „გრანელობაზე“, ასევე შოთა ნიშნიანძის იუბილის დღეებში.

რინოს კვარაცხელიამ პოეზიის მოყვარულები, თავისი ნიჭის დამფასებლები ახალი ლექსების წიგნით – „წრებრუნვა“ გაახარა, რომელიც, სამწუხაროდ, უკანასკნელი და მისი ფართო შემოქმედების შემაჯამებელი წიგნი გამოდგა. მადლიერმა საზოგადოებამ მოაწყო „წრებრუნვის“ პრეზენტაცია, სადაც გულწრფელი სიტყვა ითქვა პოეტ რინოს კვარაცხელიას შემოქმედებაზე, წმინდა პოეზიაზე. ღირსეულად მაღალი შეფასება მიეცა პოეტის შემოქმედებას, მის უანგარო, კეთილშობილურ ღვაწლსა და ამაგს მშობლიური კუთხის, ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. პოეტის სამადლობელი სიტყვა მისი გედის სიმღერა გამოდგა, რაღაც დღეები დააკლდა. უკვე დაწყებული იყო მზადება პოეტის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს საზეიმოდ აღნიშვნისათვის. ვაგლახ ვეღარ დასცალდა.

დიდად ვწუხვართ ნიჭიერი შემოქმედის, დიდებული საამაყო თანამემამულის, ღირსეული მამულიშვილის, პოეტ რინოს კვარაცხელიას გარდაცვალებით.

მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ნათელში ამყოფოს უფალმა რინოს კვარაცხელიას წმინდა სული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო,
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი და ჟურნალისტი, ღირსეული მამულიშვილი

რინოს კვარაცხელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები ოთარ ფურცელაძე, თამაზ კუჭავა, დემი ლაოშვილი, რევაზ ჩაგელიშვილი, გივი მრელაშვილი, გურამ ემირიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ შალვას ძე ჩინჩალაძე

პანაშვიდი 7, 8 II, 17 სთ. გამოსვენება 9 II, 14 სთ. მისამართი: ბელინსკის ქ. 42.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის 1958 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი კარდიოლოგი, ჩიქოვანების მომღერალთა სახელოვანი ოჯახის დედა, გამორჩეული კოლორიტი, სათნო ადამიანი

ითო (იფიგენია) შარაშიძე-ჩიქოვანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

ლეონიდე ხასხაზიანის გამოსათხოვარი



ბრძენ ქართველს სწორედ შენისთანა კაცზე უთქვამს „წუთისოფელი ასეა, მზე ჩავა მთვარე ამოვა, განა სუყველა კაცია, ათასში ერთი გამოვა“.

და იმ ათასიდან ერთი უღალატო მეგობარი იყავი, სიკეთეს თესდი ყველგან და ყოველთვის. შენი ცხოვრების წესი იყო – ადამიანებისადმი ყურადღება და უანგარო დახმარება.

არ ვიცი, რა წარმართავდა შენს ცხოვრებას, ჩემო სომეხო ძმაო!

ის რაც იყო გუშინ, არასოდეს განმეორდება. ჩვენს სამეგობროს დააკლდა ჭირში და ლხინში ყოველთვის გვერდით მდგომი, უკეთილშობილესი ადამიანი.

იყავი შესანიშნავი ექიმი, მოსიყვარულე შვილი, მეუღლე, ძალიან, ძალიან გიყვარდა შვილები სვეტა და ლენა, შვილიშვილები იგორი და ანია.

მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა იყავი, მარტო არასოდეს ყოფილხარ, თავს გევლებოდნენ მეუღლე მარინა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, სკოლის, ინსტიტუტის მეგობრები, კოლეგები, განსაკუთრებით მეზობლები და, უბრალოდ, ნაცნობები.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და ჩვენს მიერ დანთებული სანთლები გინათებდეს გზას მარადისობისაკენ, რომელსაც დასასრული არა აქვს!

ძალიან, ძალიან მომენატრები, და ვაი, რომ ამ მონატრებას ახდენა არ უწერია!

დიდი სიყვარულით
ნაირა ძურხული

მეუღლე მარინა ბელაუსოვა, შვილები სვეტლანა, ლენა ოჯახებით, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეონიდე ხასხაზიანი

პანაშვიდი 7 II, გამოსვენება 8 II, 14 სთ. თბილისი, გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდებული თბილისელი და კოლორიტული პიროვნება

ლეონიდე ხასხაზიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით უახლოესი მეზობლის, მეგობრის

ლეონიდე ხასხაზიანის

გარდაცვალებას.

მერაბ გუგუნავა, მურთაზ ჯიშკარიანი, დემნა ხელაია, გიგა ბერულავა, ომარ ჯღარკავა, გიორგი ტატიშვილი, ლილი მურადოვა, ნინო ბებრიშვილი ოჯახებით.

ოლეგ მანუკიანი ღრმა მწუხარებით იუწყება

ლეონიდე ხასხაზიანის

გარდაცვალებას.

◎ კრიმინალი

აუცილებელია ვაზაგაშვილის საქმე ობიექტურად გამოვიძიოთ

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ საერთაშორისო მნიშვნელობის სამართლებრივი სკანდალი, აუცილებელია ვაზაგაშვილის საქმე ქვეყნის შიგნით მიუკერძოებლად და ობიექტურად გამოვიძიოთ. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, როგორც ცნობილია, ვაზაგაშვილის საქმე გასაჩივრებულია სტრასბურგის სასამართლოში. მინისტრის განმარტებით, ამ საქმეზე მხარეები არიან იური ვაზაგაშვილი და მისი ოჯახი, ხოლო მეორე მხარეა, სახელმწიფო.

– სახელმწიფოს კი მე წარმოვადგენ და მე არ მინდა სტრასბურგის სასამართლოში თავის მართლება მომიწიოს იმაზე, რაზეც არაა თავი სამართლებელი. მომხდარია სიცოცხლის უფლების დარღვევა წინა ხელისუფლების პირობებში და იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ საერთაშორისო მნიშვნელობის სამართლებრივი სკანდალი, აუცილებელია ეს საქმე ქვეყნის შიგნით მიუკერძოებლად და ობიექტურად იქნას გამოძიებული, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ზურა ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი კატეგორიულად მოითხოვს შინაგან საქმეთა მინისტრისგან, რომ ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი გიორგი დალაქიშვილი და მისი მოადგილე ოთარ მირზოევი დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

როგორც მან აღნიშნა, ქალაქის პოლიციის უფროსი მისი ვაჟის მკვლელობის დროს, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა.

მისივე თქმით, იგი ვერ ხედავს განსხვავებას ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლებას შორის და ერთადერთ გამოსავალს სამართლიანობის აღსადგენად მთელი საქართველოს ქუჩაში გამოსვლაში ხედავს.

ინტერპრესი

დაიჯესტი

„ჩემო ძვირფასო, ჩემო სიცოცხლევ!...“

მიჩნეულია, რომ ეგრეთ წოდებული „კრუხი დედები“, რომლებიც მთლიანად ჩაფლულნი არიან შვილების ინტერესებში, სრულიად ივიწყებენ საკუთარ თავსა და მისწრაფებებს. ფსიქოლოგთა ჯგუფმა იმის გარკვევა გადაწყვიტა, თუ რამდენად ზარალდებიან მშობლები, რომლებისთვისაც ცხოვრებაში უმთავრესია შვილის კეთილდღეობა.

კანადის უნივერსიტეტის კოლეგებთან ერთად ჰოლანდიელმა ფსიქოლოგებმა მშობლები გამოკითხეს, რომლებსაც დადებითად ან უარყოფითად უნდა ეპასუხათ კითხვაზე „შვილის ბედნიერება საკუთარ ბედნიერებას მირჩევნია“ ან „შვილები ჩემი ცხოვრების არსია“.

აღმოჩნდა, რომ დედები, რომლებსაც „ძუ ვეფხვებს“ ან „კრუხებს“ ეძახიან, უდიდეს სიამოვნებას იღებენ იმისგან, რომ მთელ თავის დროს საკუთარ „პატარა მბრძანებლებს“ უთმობენ. სწორედ ისინი არიან ყველაზე ბედნიერი მშობლები – საკუთარი თავის კმაყოფილნიც არიან, სიცოცხლეც უხარიათ და არც ყოველდღიური საოჯახო საქმე აღიზიანებთ. იმ მშობელთა „ბედნიერების დონე“, რომლებიც საკუთარი შვილების ცხოვრებით საზრდოობენ, იმ მშობლების ბედნიერების დონეზე გაცილებით მაღალია, ვინც უმეტესად საკუთარ თავზე ზრუნავენ.

მშობლებს, ვისთვისაც ცხოვრების წინა პლანზე შვილები არიან, გაცილებით მეტ დადებით ემოციასა და ნაკლებ უარყოფით შეგრძნებას განიცდიან. ასეთი მშობლები სიცოცხლის ყოველი დღით და დედური მოვალეობის შესრულებით ტკბებიან, მაშასადამე, თავს ბედნიერად გრძნობენ. ასეთი მშობლები აღიარებენ, რომ ყველა მსხვერპლის კომპენსირება შვილების კეთილდღეობით ხდება.

ღვთაებრივი მიკი მაუსი?



რამდენიმე წლის წინათ, ავსტრიის ქალაქ მალტაში ეკლესიის ფრესკაზე უცნობი არსების გამოსახულება აღმოაჩინეს, რომელიც გასაოცრად წააგავს... უოლტ სიდნეის საქვეყნოდ ცნობილ ნახატ პერსონაჟს თაგუნა მიკის!

სპეციალისტთა აზრით, ფრესკა შვიდ საუკუნეზე მეტი ხნისაა. მეცნიერები ერთგვაროვნად დაბნეულები არიან: რა გამოდის, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში თაგვებს, ასე ვთქვათ, „აადამიანებდნენ“? მაშინ გამოდის, რომ მიკი მაუსი უოლტ დისნეის მოგონილი არ არის?

ხელოვნებათმცოდნის ედუარდ მალკნეჰტის თქმით, თაგუნა წმინდა ქრისტეფორის გვერდითაა გამოსახული.

ჩვენ მართლა ერთი სისხლისანი ვართ?

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თაგვები ადამიანებს გაცილებით მეტად ჰგვანან, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება. საერთოდ კი, მსოფლიო ხალხთა ფოლკლორში თაგვი მრავალი ზღაპრის პერსონაჟია, ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანთა და თაგვების ერთგვარი მსგავსების ამბავი ჩვენი წინაპრებისთვისაც იყო ცნობილი.

რამდენიმე წლის წინათ იერუსალიმის უნივერსიტეტის მეცნიერებმა პროფესორ იტაი ბაბუს ხელმძღვანელობით „თაგვის ჩონჩხის მიკროტომოგრაფიული ატლასი“ გამოსცეს, რომელშიც იგი უაღრესად დეტალურადაა განხილული. დასკვნა გასაოცარი იყო: აღმოჩნდა, რომ თაგვის ჩონჩხი ადამიანისას ძალიან ჰგავს!

მეცნიერის თქმით, ადამიანსა და თაგვს მრავალი არსებითი მსგავსება აქვთ, ცხადია, მასშტაბისა და კუდის გამოკლებით. მაგალითად, ძვლის ქსოვილის საერთო პათოლოგიები, ასევე გენეტიკა. თუმცა, ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ მეცნიერები არსებული განსხვავების... წაშლას ცდი-

ლობენ დიდი გულმოდგინებით, რა მიზნითაც თაგვებს... ადამიანის გენებს უნერგავენ.

მაგალითად, დოქტორმა კრისტოფერ უოლშმა ერთი გენის გადანერგვის შედეგად თაგვი გამოიყვანა, რომლის თავის ტვინის სხვებისაზე გაცილებით დიდი იყო და გარეგნულად... ადამიანისას ჰგავდა. მეტიც: მეცნიერის გასაკვირად თაგვის ტვინის რუხი ნივთიერების მასა იმდენად გაიზარდა, რომ... თავის ქალაში ვეღარ ეტეოდა. შედეგად, ტვინი „დაიჭმუჭნა“ და მას ისეთივე ნაოჭები გაუჩნდა, რომლებითაც ადამიანებს ასე მოაქვთ თავი!

სხვა ლაბორატორიებში შექმნეს... თაგვი-პატრიტოტი (!) და შიზოფრენიით დაავადებული თაგვი-ფსიქოპატი. პენსილვანიელი გენეტიკოსები კი ისეთი მღრღნელის გამოყვანას ცდილობენ, რომელიც... ადამიანის მსგავს სპერმას გამოიმუშავებს!

სხვათა შორის, ჟურნალი „ნეიჩური“ წერს, რომ ადამიანსა და თაგვს მართლაც ჰყავთ საერთო წინაპარი – ესაა ძუძუმწოვარა პაწაწინა ცხოველი, რომელიც 100 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთინგან ვახელებთან

კეზერაშვილის ექსტრადიციისთვის საფრანგეთში გაყალბებული მასალები გადაიგზავნა?

უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს: „მასალები, რომელთაც საფრანგეთის მართლმსაჯულება გაეცნო, თარგმნილი და გადაგზავნილია საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტიდან, რომელსაც ბატონი ირაკლი ჩილინგარაშვილი ხელმძღვანელობს. ეს ის ადამიანია, რომელიც უშუალოდ ადეიშვილის კადრია და რომლის მიმართაც მე პირადად არაერთი პრეტენზია მქონდა პარლამენტის წევრობის დროს.

ჩილინგარაშვილი, როგორც საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პირდაპირ პასუხისმგებელია იმ ინფორმაციის ნამდვილობაზე, რომელსაც მთავარი პროკურატურა აწვდის დაინტერესებულ მხარეს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს მიზანმიმართული ქმედება იყოს. ამიტომ მოვუწოდებ მთავარ პროკურორს და პრემიერ-მინისტრს, გადაამოწმონ ის თარგმანი, რომელიც ფრანგულ მხარეს წარედგინა, რამდენად შეესაბამება თარგმნილი დოკუმენტაცია ქართულ დედანს.

„ალია“

ინტერვიუ კობა ოთანაძესთან

მუხროვანის ე. წ. ამბოხის სკანდალური ვიდეოკადრების გავრცელებას, სადაც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი მერაბიშვილი ორი გვამის მირთმევას სთხოვს, ამ პროცესებისგან დაზარალებული ადამიანების გადასინჯვა მოჰყვა. ყოფილი პოლიტპატიმარი კობა ოთანაძე სიკვდილსა და 30-წლიან ციხეს მართლაც ღვთის შეწევნით გადაურჩა. ის „პრემიერს“ საკუთარი დაპატიმრების სკანდალურ დეტალებზე ესაუბრება.

„პრემიერი“

„გოგი თოფაძემ ოლიმპიელ იასონ აბრამიშვილს ძონება წაართვა“

– ამბობს საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე, – ოლიმპიადაზე მიდის ჩვენი სპორტსმენი იასონ აბრამიშვილიც. მივმართავ მთავარ პროკურორს, რომლის ფოტოც ვიცი და იმედია, მოძრავი კადრი მაინც გამოჩნდება, თუ ამ ქვეყანაში არ არსებობს შერჩევითი სამართალი, მაშინ ძალიან გთხოვთ, ნუ აჯანჯლებთ და ნუ წელავთ გამოძიების საქმეს, რომელიც ეხება უმრავლესობის წევრის გოგი თოფაძის მიერ იასონ აბრამიშვილისა და მისი ოჯახისთვის გაყალბების გზით ქონების წართმევას. საუბარია არც თუ მძიმე ბიზნესზე.

„ახალი თაობა“

რუსული მედია: ძართული ღვინო „ტრიუმფალურად დაბრუნდა“!

ასე უწოდებს რუსული მედია ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნებას და თანაც წერს, რომ „ქინძმარაულმა“ და „ხვანჭკარამ“, რომლებიც 2006 წლის შემდეგ რუსეთში პირველად გამოჩნდა, რუსული ბაზრის ადრინდელი მოცულობის დაბრუნება შეძლეს და უმსხვილესი იმპორტიორების პირველ ათეულში შესვლა მოახერხეს. როგორც საინფორმაციო საშუალებები წერენ, ემბარგოს მოხსნიდან 6 თვეში რუსულ ბაზარზე 14,79 მილიონი ლიტრი ქართული ღვინო შევიდა და ბაზრის 2,42 პროცენტი დაიკავა.

„რეზონანსი“

ციცხალი ანეკდოტები

– რომ შეგეძლოთ ნებისმიერ მწერალთან, ცოცხალთან თუ მკვდართან, ურთიერთობა, რომელს აირჩევდით? – ეკითხება ლიტერატურის მასწავლებელი სტუდენტ გოგოს.

– ცხადია, ცოცხალს...

* * *

კაცი პირველად მოხვდა წითელი ფარნების ქუჩაზე. რეკავს გოგოს კარზე.

– რა გნებავთ? – ისმის მიბნედილი ხმა.

– მინდა, რომ მიხმაროს! – ეხუმრება კაცი.

– მაშინ შემოაცურეთ 250 ევრო კარქვეშ.

კაცმა შეაცურა ფული. დგას და ელოდება, მაგრამ არაფერი ხდება. ისევ რეკავს.

– რომელი ხართ, რა გნებავთ? – ისევ ისმის მიბნედილი ხმა.

– მოვედი, რათა მიხმაროთ! – კვლავ ანგლობის ხასიათზეა კაცი.

– თქვენ რა, ერთი არ გეყოთ?

– პეტკა, შენ წუხელ მთელი ღამის განმავლობაში ბოლო სიტყვებით აგინებდი შენს ცოლს.

– ტყუილია, მარაგში კიდევ ბევრი სიტყვა მაქვს.

* * *

ექიმი შევიდა პალატაში, ჩამოჯდა ავადმყოფის საწოლზე და მამობრივი მზრუნველობით ეკითხება:

– აბა, ჩემო კარგო, რა გტკივათ?

– ფეხი, რომელზეც მაზიხართ... – კბილებში გამოსცრა ავადმყოფმა.

* * *

ცოლ-ქმარი ნარჩევი, სამსართულიანი დედის გინებით უმასპინძლდება ერთმანეთს.

უცებ ზარი ირეკება. ცოლი აღებს კარს. ზღურბლთან მეზობლის ბიჭუნა დგას:

– მაპატიეთ, მამაჩემსა და ბებუაჩემს აინტერესებთ, რომელი არხით მიდის ასეთი საინტერესო გადაცემა?

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24